# ნიანგი

ISSN 0132-6015

ივლისი

13 – 14 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა




ნახ. მ. ახვლედიანისა

# სატირულ [illegible]

## მუშაკაცის ჩივილი

ქარხანაში, სადაც მე ვარ,
ვშრომობთ ორასამდე კაცი!
მოგვდის ბლომად ნედლეული,
ხან — შესყიდვით,
ხანაც — გაცვლით!..
გარჯა არის სახალისო,
მართლა ძმური,
მართლა ნაღდი,
ქარხნის მომმარაგებელი
ყოველნაირ **წილში გადის!**
საწყობია, — კაცი უნდა,
კაცი — კაცურ სმის და მადის,
ვინაც ქარხნის პრესტიჟს იცავს,
რა თქმა უნდა, **წილში გადის!**
ღამის თევა მძიმე არის,
მაგრამ ათევს ღამეს ხათრით,
ამიტომაც უსათუოდ
ის დარაჯიც **წილში გადის!**
საკონტროლო გასასვლელში
ხშირად ვისმენთ ნაცნობ ქადილს —
ვინ დატოვებს კონტროლიორს?! —
მენდეთ, ისიც **წილში გადის!**
ანონიმის მწერალია,
თუ ჩამწყობი სხვებთან კარტის,
ყველა საქმეს აკეთებს და,
რომ გაჩერდეს, **წილში გადის!**
ცვლა არის თუ საამქრო,
ხომ გუგუნებს ხანგრძლივ ვადით?!
ოსტატებიც,
უფროსებიც —
თითო-თითოდ **წილში გადის!**
ქარხანა რომ არ შეფერხდეს,
ხშირად უძლებს ტანჯვას
ნამდვილს!..
და მთავარი ინჟინერიც,
რა თქმა უნდა, **წილში გადის!**
დირექტორის მოადგილე
ვაჟკაცია სწორედ ამ დღის, —
იცის საქმე და მიტომაც
წილობრივად **წილში გადის!**
ნაწარმია, ხარისხია,
წილია თუ მუშაკადრი, —
დირექტორი განაგებს და...
დიახ, დედოწილში გადის!

ჩვენც ვაკეთებთ კეთილ საქმეს,
ჩვენც ვისწავლეთ შრომის ყადრი,
გვინდა ქარხნის **წილში გასვლა,**
მაგრამ **მუშის ხმა არ გადის!..**

## კაცი — საცობი

უჩვეულო კაცია, —
არ გეგონოთ ბოთე, —
შეუძლია დაცობა
ნებისმიერ ბოთლზე! —
საჭიროა, უბრალოდ,
მოცივდეს ან მოთბეს,
მოეცმება მაშინვე
დიდ-პატარა ბოთლზე:
ასგრამიან,
ერთლიტრიან,
სამლიტრიან,
ხუთლიტრიან,
რვალიტრიან,
ათლიტრიან,
ოცლიტრიან ბოთლზე!
ზოგში მთხლე, და წყალია,
ზოგში — შაქარ-ღვინო,
ის კი ბოთლზე ეცობა,
მისდა სალილინოდ!
არის დიდი გამგები,
დამჯერე და მოთნე,
ჯდება ყველა სავარძლის
და რანგის კაც-ბოთლზე!..
უთვალოს და უყუროს,
ენაბლაგვს და მომთმენს —
ნახავთ ლიბერალიზმის,
ნახავთ კონსერვატიზმის,
ხან რევიზიონიზმის,
ხან ავანტიურიზმის,
მენშევიზმ-ბოლშევიზმის,
დემოკრატ-
პლურალიზმის,
იმ იზმის და ამ იზმის,
ყველა იზმის ბოთლზე!..
ბოთლ-კაცებს,
ბოთლ-კაცუნებს
იგი უცობს ყურებს,
არ აკარებს გარეგან
წვრილმან პუჭუჭკურებს!
არის მის წვა-დაგვაში,
მის დიდ სამსახურში,
არ ახედებს არავის
ბოთლ-კაცის ბნელ სულში!
თავს ეცობა სუყველას —
ბოთლია თუ ბოცა!..
მსგავსი კაცი — საცობი
გინდათ, ვინმეს მოგცათ?!

**რევაზ ლორია**
**(ქ. ლანჩხუთი)**

## სათურქეთო კუპლეტები

**ეს — იმას, ტვინი ნაღრძობი რომ აქვს, ნამუსს ტოვებს და ძონძები მოაქვს!**

ბევრი დარწმუნდა ამაში, —
**თურქეთში** გასამგზავრები, —
**ხერხი** სჯობია **შალაშინს,**
თუ **სტამბულს** მიემგზავრები!

* * *

კი, იყიდი **ფაჩუჩებს,**
თუ გაყიდი **ჩაჭუჩებს,**
ვინმესთან თუ **დაწვები,**
**„დუბლიონკას“** გაჩუქებს!

* * *

მე შევახსენებ, ვინც **ქართველია,**
თუმცა პირში თქმა ჩემთვის
ძნელია:
**ძონძებში** ნუ ცვლი საკუთარ
**ნამუსს!** —
**ნამუსიც** კაი **საქონელია!..**

## თითოსტროფიანი შეგონებები

„არა კაც ჰკლა“ და „არა იპარო“,
არც ბოროტებას დაუკრა ტაში,
თორემ იმქვეყნად მოგთხოვენ
პასუხს,
როცა მოხვდები **„შემცირებაში“!**

* * *

ვერ არის „დიდი რუსეთი“
თავის ძველებურ ლონეზე! —
ოცნებობდა და დავიდა
**პროლეტარების** დონეზე

* * *

ძვირია ბაზრის ფასები,
უფრო და უფრო ძვირდება! —
შენი ერთი თვის ხელფასი
ერთ დღეში გაგიფრინდება!

* * *

**„ამხანაგებო!“-ს** გაგონებაზე
**მიოკარდიტი** მიტევს,
რადგანაც, მახსოვს, **ამხანაგებმა**
**ამხანაგები** ხვრიტეს!

* * *

„ჟიგული“ დგას და ვერ მიდის,
მის პატრონს „სტუკი“ ჰგონია,
თურმე, ბენზინის მაგივრად,
„ბაკში“ მაზუთი ჰქონია!..

* * *

დღეს რა ჭირიც სჭირს ქვეყანას, —
რა გამოცანა სჭირდება?!
**ნამუსის** ფასი დაეცა,
სხვა **ყველაფერი** ძვირდება!

* * *

**ყველაფერს** ვშვრებით იმისთვის,
რომ ტრადიციას ვუყელოთ:
**ტოლმას** ვაკეთებთ... **უხორცოდ,**
**ხაჭაპურს** ვაცხობთ... **უყველოდ!**

* * *

რასაც ვხვდებოდით **ტაშისკვრით**
და რაც გვეგონა **კარგადქმნა,**
თურმე სჭირდება **დანგრევა**
და ძირეული **გარდაქმნა!**

**ნიკოლოზ იოსებიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნარევი

## დიალოგები

ქალი სამსახურში ჩალურჯებული თვალებით გამოცხადდა. მას ეკითხებიან:

— ვინ მოგექცათ ასე?

— ქმარი!

— ჩვენ ვფიქრობდით, რომ იგი მივლინებაში იყო!

— მეც ასე ვფიქრობდი!..

—:—:—

სამი მთვრალი რკინიგზის შპალებზე მიბობღავს!..

პირველი: — დალახვროს ღმერთმა, რა მაღალი საფეხურებია?!.

მეორე: — სამაგიეროდ, მოაჯირი ხომ დაბალია?!

მესამე: — არაფერია, ყმაწვილებო, აგერ ლიფტი მოდის!..

## ფრაზები

● **საბჭოთა** კავშირის კომუნისტურ პარტიაში — გათიშვა მოხდა: ერთ მხარეზე პარტია აღმოჩნდა, მეორეზე — ჩვენი ეპოქის გონება!

● **პათოლოგოანატომის** დასკვნა: კადრებმა გადაწყვიტეს ყველაფერი!

● **მეტამორფოზა**: საჩვენებელი თითი არათითად გარდაიქმნება!

● **სამხედრო** თამაშებიდან ყველაზე აზარტულია დემოკრატიის თამაში!

● **ბარდაქმნაში** მთავარია არა გამარჯვება, არამედ — მონაწილეობა!

● **გაკრიტიკება** ყველასი შეიძლება, გარდა იმათი, ვისი გაკრიტიკებაც არ შეიძლება!

● **ჩვენი** უფროსი ბუზსაც არ აწყენინებს,ან რად სჭირდება მას ბუზი?!

თარგმნა ვ. გუაჩიძემ

## ფალისპიდის დიალოგები

— უყურებ, ჭიჭიკია, რაფერ მაგრად გეიმარჯვა მრგვალმა, მაგიდამ?

— ქართველ კაცს მაგიდა და პურ-მარილი უხსენე და, აბა, ტალონებს მისცემს ხმას?!

— მერე, სავსე იქნება იგი, ჭიჭიკია, თუ იცი?

— სავსე იქნება, აბა, ცარიელი ვის რად გეინდა, შე კაცო?!.

* * *

— ბატონო სევასტი, ბევრი ჩვენი ოპოზიციონერი ნამდვილი ლოგიკითაა შეიარაღებული! თქვენ როგორ ფიქრობთ?

— კი, მართალია, ოღონდ ზოგი მათგანი რკინის ნაჯახით უფრო შეიარაღებული, ვიდრე რკინის ლოგიკით!

გელა ადეიშვილი




ნახ. ჯ. ლოლუასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფელეტონი

ეს მოხდა წუხელ, შუაღამისას, ესე იგი, ძილის საათებში, თბილისის მოპირდაპირე მხარეს.

ქროდა განივი ქარი, ძილ-ფხიზლობდა ბუჩქებში მიმალული ყურცქვიტა, ესე იგი, კურდღელი. ცა იყო ტყვიისფერი, მოშავო-მორუხო, როგორც გუდრონში აზელილი ხავო!..

თბილისში გრძელდებოდა შუაღამე, ესე იგი, ძილის საათი!..

ქალაქის მოპირდაპირე მხარეს კი, ბორცვიან ვაკეზე, ერთი შეხედვით დაუჯერებელი რამ ხდებოდა.

ზღვის ქვიშასავით ალურიცხავი და ფოთოლივით უთვალავი მყრალი ცხოველები — მაწანწალა ძაღლები — შეკრებილიყვნენ ბჯობად!.. ღრენისა და თვალთა ბრიალის შემდეგ ერთხმად გადაწყვიტეს, გლდანის საცხოვრებელი მასივი დავლაშქროთო ამაღამ! ახლა კბილებს ილესავდნენ და საქმის აღსრულების შესაფერ მომენტს უცდიდნენ.

რა რჯულისა და მოდგმის ძაღლი აღარ იყო: ჩვენებური ნაგაზი, ყურშა თუ დრუნჩა, ბულდოგი, სეტერი თუ პოინტერი, მეძებარი თუ მწევარი, ავსტრალიური ცხვირა, კანადური ყინულა, თავშავა თუ პირლია... — სამყაროს ყველა კონტინენტის კბილალესილი ოთხფეხა! ბასკერვილების ძაღლი მათთან აჩრდილი იქნებოდა!

ცენტრში, ბაზალტის ლოდზე, ვეება პირდაღებული ჩვენებური ქოფაკი, სახელად მგელიკა, ჩაცუცქულიყო უკანა ფეხებზე. იერზე ეტყობოდა, მაწანწალების უსტაბაში იყო. მგელიკას მკერდი წინ წაეწია, კუდი აეპრიხა და თანამოძმეთ მარცხენა ფეხის ზეაწევით აფრთხილებდა: — ენები ლაშებში ჩამალეთ, კბილი კბილს დააჭირეთ და ჩემს ნიშანს ელოდეთო!

გადიოდა დრო, გრძელდებოდა შუაღამე, ანუ ძილის საათი!..

უეცრად მეთაურმა ქოფაკმა შემზარავად დაიყმუვლა, წინა მარჯვენა თათი ყელზე ჩამოკიდებულ თოფრაში ჩაჰყო, პარაბელუმი დაძრო და ისროლა!!.. წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა!.. ხროვის ატამანმა ჩამომდგარ წყვდიადსა და სიჩუმეში კვლავ ისროლა, შემდეგ მეყვსეულად ისკუპა და ასმეტრიანი კამარით ნაგაზებს თავში მოექცა!.. თანამოძმეებმა გაერთიანებული ძალით მიბაძეს მეთაურს!.. ატყდა საშინელი ლავლავი და გამაყრუებელი წკავწკავი!..

ხროვა სწრაფად დაეშვა ნალვარევ ფერდობზე და გეზი გლდანის საცხოვრებელი მასივისაკენ აიღო.

შუაღამე გადასული იყო, ესე იგი, ძილის საათი გრძელდებოდა!..

მხეცები საცხოვრებელ კორპუსებთან მიიჭრნენ, ჩაიმუხლეს და მეთაურის ნიშანზე ატყდა ენით უთქმელი და დღემდე გაუგონარი ლავლავი, ყმუილი, წკმუტუნი და ყეფა!..

რა თქმა უნდა, ძილის საათებში მშვიდობიან მცხოვრებლებს ეძინათ. ყველას ძილი გაუფრთხა. შეშინებულებმა ყველა კარი გადაკეტეს, ზოგი კი, მეტისმეტად მხდალი, ფანჯრიდან გადახტა!.. ერთი მათგანი ფანჯრიდან ნაგაზს ზურგზე დაახტა და ქუსლის კვრით აიძულა ცხოველი, გეზი ჩრდილოეთით აეღო!..

გაავებულ ბრბოს მოსახლეობა ფანჯრებიდან ესროდა ტაფებს, საცვლებს, ფეხსაცმელს, წიგნებს, ჰალსტუხებს, შლაპებსაც კი!.. ერთმა ძილგატეხილმა ჟურნალისტმა გამძვინვარებულ ქოფაკს შუბლში კალამი ესროლა!.. კალამი ღრმად შეერჭო აბეზარს. ძაღლმა მთვარეს შეჰყმუვლა და პირიდან მელანნარევი დუჟი წამოანთხია!..

მძიმე იყო იმ ღამის შედეგი: დაიკარგა 25 ათას 789 ძილსაათი, განადგურდა და გაბინძურდა სკვერები და სადარბაზო შესასვლელები, ბავშვებმა დაკარგეს შუაღამისას სეირნობის უფლება!..

საქმეს იძიებს საზოგადოება „მაწანწალა ძაღლების მეგობართა" განყოფილება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გამოძიება ზედმიწევნით პირუთვნელად, ობიექტურად წარიმართება! დამნაშავენი მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ! შედეგს ოპერატიულად გაცნობებთ!

**P. S. ილფი და პეტროვი წერენ, სტატისტიკამ ყველაფერი იცისო.**

**დიდი მწერლებისადმი ჩვენი ღრმა პატივისცემის მიუხედავად, ვერ დავეთანხმებით!**

**სტატისტიკამ არ იცის, დღესდღეობით რამდენი მაწანწალა ძაღლია თბილისში!**

ამიტომ შემოგვაქვს წინადადება:

**დედაქალაქის სანეპიდსადგურის მუშაკებმა, სხვა თუ არაფერი, ამ ძაღლების აღრიცხვა მაინც ჩაატარონ! — ყველა ძაღლს ყურზე რიგითი ნომერი მიამაგრონ სქესისა და წლოვანების ჩვენებით, თორემ ათასნაირი ხმები დადის: ზოგი ორი ათასს ასახელებს, ზოგი — სამს, ზოგი — მეტსაც!.. ამიტომ ეს საქმე სასწრაფოდ გვეჩვენება!**

ყოველ საქმეში სრული სიცხადეა საჭირო!

...და ეს ამბავი ძაღლის წელს არ მომხდარა!

**შალვა ადომაშვილი**




ნახ. ბ. ჯუჯაშვილისა

ნახ. გ. ზუგაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ანზორ აბულაშვილი

### წითელი დროშა ბილწსიტყვაობს!..

შრომის ვეტერანს, —
შეაკრთობს, — ზაჭესს:
ახალი ქარი
ძველ დროშას არხევს —
გაჭირვებული ჩრჩილის
უ ლ უ ფ ა ს,
ზედ ამოქარგულ
ბელადის სახეს!
რად დაინდობდა „ხალხის მტრებს“
ჟ ა მ ი,
თავ-თავის ცოდვის ჭვარზე
მ ი კ რ უ ლ ე ბ ს?!.
და სულს უკურთხებს, —
ის დროშა, — მამის, —
ვინც იმ „გმირულ დროს“
უ ტ რ ა... ლიკულებს!

### დაფნისმოყვარეთა მეტამორფოზა

„დ ა ფ ნ ი ს ა თ ვ ი ს!
დ ა ფ ნ ი ს ა კ ე ნ!“ —
ვშალეთ უწმინდური აფრა
და რეგატაც ბოლმა-ქიშპმა
კიდევ უფრო გაგვიმძაფრა!..
თუმც განგებამ
რამ ხიფათი
გზაზე მრავლად ჩაგვისაფრა,
მაგრამ არას შევუშინდით,
ანუ რისი შიშის ზაფრა?!
ვერაფერმა შეგვაჩერა,
ყველაფერმა იარაფრა!..
მივიბრძოდით დაფნისაკენ
და მოვირგეთ თავზე დაფნა, —
შ ხ ამ -ს ა მ ს ა ლ ა,
რამაც წამსვე
დაგვიტკბო და
დაგვიშაქრა!..
ვის ახსოვდა სიყვარული,
მიგდებული მიუსაფრად?!.

### ...

დრო დამდგარა
უკუქცევის,
ძველი ჟინიც
უცებ გაქრა.
„შორს უწმინდურ
დ ა ფ ნ ი ს ა გ ა ნ!“
და გავშალეთ
სულ სხვა აფრა.
პატრონს ზიზღით მივუყარეთ
ჩვენი გადამცდენი დაფნა,
ხუნდად დადებული დაფნა,
სისხლში ამოსვრილი დაფნა,
ნარკოტიკი —
მ უ ხ თ ა ლ ი ს გ ა ნ
შემოსალებული თაფლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

### თურმე!..

სიტყვით ცას აზანზარებდი
და მეც მოგენდე მდგმურად,
მეგონა, შემიფარებდი
ალალკაცურად, ძმურად! —
არ გამიმართლდა, მოვტყუვდი,
თურმე მტერს ახლდი ყურად,
ობობას ქსელში მაბამდი,
ჭირი მიქციე პურად!..
კაცად მეგონე ნაზარდი,
დაბადებულხარ ტურად!..

### ერთი მეზობელი მყავს!..

ერთი მეზობელი მყავს,
მისი ქცევა მაკვირვებს:
მე ვპატიჟებ,
გოჭს ვუწვავ,
ის ჩაიზე მპატიჟებს!..
როცა გული არ მიწევს,
აყალმაყალს დამიწყებს!..
„კარგი" მეზობელია,
„ვენაცვალე" სამიწეს!..

### შენ ჩემი სისხლი არა ხარ!..

შენ ჩემი სისხლი არა ხარ
არც დედით, არცა მამითა!
ვის ეჩემები ნაფიცად,
ვის მოძღვრავ, სისხლით მამითი?!
ახლა მაგის დრო არა გვაქვს, —
გისმინოთ ბოდვა წამითიც, —
თუ ჩვენი ძმობა არ გხურდა,
ვინ ჩამოგთესლა ძალითა?!.
ქართვლის გვარს არც მე
გაგიცვლი, —
სისხლითაც ის ვარ, ძვალითაც!..
წრიყვი ბრიყვადვე დარჩები,
ჯიშით, ჯიგარით, გვარითაც!..

### ხედავთ, ხალხო?!

მრუდე კაცი ბევრია —
მოლაყბე და ფლიდი,
ბევრი ჩვენი გაგვერია,
გვილიმის და გვყიდის!
უფალს ეს რა შევცოდეთ?! —
არ გვაქვს ღმერთის რიდიც!..
დავითი რომ იძენდა,
იმ შეძენილს ყიდის!
გვეფლიდება: „ქართველნო,
შევეწიროთ უნდა!.."
მითხარ, შე დაკარგულო,
კაცი ხარ თუ ხურდა?!
წინაპრის ძვლებს მიშიშვლებ
და შენს ჭანგზე მღერი!..
ჩემს მიწებს რომ არიგებ,
მოძმე ხარ თუ მტერი?!
ხედავთ, ხალხო, რას შვრება
ნაშიერი სკვითის?! —
დავითი რომ სისხლს ღვრიდა,
იმ ნასისხლარს ყიდის!

### პატარა იყო, მაგრამ...

პატარა იყო,
მაგრამ თავი ედიდებოდა,
მტერს უღიმოდა,
მოძმეს პირში ეფლიდებოდა!..
უპატიოსნო
პატიოსნებს ეჯიბრებოდა,
სულით მახინჯი
ზეცის თალს ეჭიდებოდა,
არვის ფიცავდა,
არც არავის ეფიცებოდა,
არც ვის სტკიოდა,
არც არავის ეტკიებოდა,
არ ჰქონდა სული
და უსულოდ იტანჯებოდა!..
გულმავი კაცი
შხამ-სამსალად იხარშებოდა!..
ულირსი იყო,
მაგრამ მაინც გვებრალებოდა,
მას კი სიხარბით
სიბრალულიც ეხარბებოდა!..

### შენისთანებმა აგვიკლეს!..

პროდუქტს ტალონით არიგებ,
გრამობით!.. გვაკლებ მასაც,
ჰკუჲასაც აქეთ გვარჩევ,
ჩვენ კი ვერ ვიღებთ ხმასაც!..
ვაი, რომ ყველას ატყუებ —
შენიანსაც და სხვასაც!..
სინდის-ნამუსი გვაწუხებს,
რომ ვერ გიბედავთ თქმასაც!
ღიმილი მაინც გვალირსე
დამუწუკებულებს, დამწვრებს!..
შენისთანებმა აგვიკლეს,
რა გვეშველება საწყლებს?!.

### ზოგს...

ზოგს კაპიკისთვის გააწნეს,
ზოგს ათასებიც შერჩა,
ქალაქელი ოქროდ გარდაქმნეს —
„აბა, რა ექნათ, ბიჭა?!"
საწყობში იყო თუ დახლთან,
ასიანებად ქეცა.
ზოგი ჩემიდან „იხება",
ზოგი აგწაპნა შენცა!..
შერჩა ქებაც და გინებაც,
ასიანებიც შერჩა!..

### გუშინ რა იყავ, არ გახსოვს?!

აგვგულო, სიტყვა გვალირსე,
სათქმელი წვრილად გვითხარი! —
რას გვერჩი, რას გვთხოვ, რას
გვიჩრჩევ.
რა გსურს, რას გვიბღვერ, ვით
ხარი?!
გინდივართ?! — გული გაგვიხსენ,
მტრობისკენ რატომ იჩქარი?!
შენც ხედავ, — მაგრად
ჩაფლულხარ
ავყიებისთვის ჭიშკარი!..
გუშინ რა იყავ, არ გახსოვს?! —
მთელი არ გეცვა ნიფხავიც!..
ნეტავ, ახლა რით ამაყობ,
ღვთისაგან განუკითხავი?!
მინდა, გამიგო ნათქვამი,
მოჰრილი მოკლედ, ხამუშით:
ღორი სჯობია ნახვამი,
თუ კაცს არა აქვს ნამუსი!..

### ავტოს ხედნიდა ამბაკო!..

ავტოს ხედნიდა ამბაკო, —
არყით გამტყვრალი ღორულად, —
გზაზე გაფრინდა ქორულად
და კლდესთან ველარ
„მორულა": —
სიპ ქვას შეასკდა ყორულად,
გადაეხვია ტორულად...
ახლა ნარზე წევს მორულად,
ცემენტის ხუფით, თორულად!..

### დაავიწყდა!..

ფეხშიშველას
სხივი მოჰყვა სოფლისა,
სურნელებაც
მოიყოლა ვაზისა,
მივეფერეთ,
უპირველეს ყოვლისა,
მოზიარე
გავხდით მისი დარდისა!
უწინ ისიც
მოკრძალებას გვჩუქნიდა,
თუმც არც ენა,
არც გონება უჭრიდა!..
ჩვენც ვუყოფდით
ლუკმას, ისიც კუკნიდა,
ბულახავით
სულ ერთ ადგილს ბუქნიდა!..



ეროვნული ბიბლიოთეკა



ახლა მდიდარს
ემახიან ნამდვილსა,
დრო იყო და,
ჩვენზე მეტად უჭირდა! —
დ ა ა ვ ი წ ყ დ ა!
ერთ კაპიკსაც ადვილად
დღეს ვერავინ
ვერ დასცინცლავს მუჭიდან!..

## ყველს აკეთებდა ნასყიდა!..

თხუთმეტ მანეთად ნასყიდამ
ტომარა ფქვილი იყიდა
და, ვითომ არცრა იყო რა,
მუტრუკმა მუტრუკს აკიდა,
შინ მიიტანა და ძროხაც
სიხარულისგან აფრინდა,
უვსებდა ქოთანს ერბოთი,
ნაღებიანი ქაფითა!..
ყველს აკეთებდა ნასყიდა
უჯაფოდ, სხვისი ჯაფითა
და ბევრჯერ, „ბავშვის სამყოფი",
კილო თხუთმეტად გაყიდა!..
ვუთხარით, შემოგვიტია,
ან, რომ ვუთხარით, რა გვრჯიდა?!
ხორბლის მომყვანს და ჩვენც,
ყველას,
ერთად ქოქოლას გვაყრიდა!..
უვიცს სიმართლე რომ ვუთხრათ,
ნეტავი, რატომ გაჭირდა?!.

## თავის იშტაზე ბაიბო!..

თქვენ და კოწიამ ნათქვამი
თავის იშტაზე გაიგო —
თავისი, სხვისი ნაშრომიც
ორივე ხახში წაილო!
როცა მოჰკითხეს, განცვიფრდა,
თითქოს იქ არც კი მდგარიყო:
„მითხრეს, წაიღე! წავიღე,
რას მემართლებით,
რა იყო!.."

## დაფიქრდი!

გაცვეთას გატეხვა სჯობია! —
ეს ჩემი ნათქვამი როდია!..
შეეშვი სხვის ჯიბეს, გოგია,
„იმ ობერს" შეჩვევა სცოდნია!
კუზიანს სამარე ასწორებს! —
ეს სიბრძნე ჩემამდე „უთქვიათ",
და მაინც რამდენი მრუდია —
შენ რომ ხარ, ისეთი ქურდია!..
რომ ჩაჯდე, არავის „უნდია",
შენთვის კი გაკიცხვა კულტია!
დაფიქრდი, იკმარე, გოგია,
ჩაკეტვას ჰაერზე სჯობია!..

## ბენზინის დეფიციტია!

ბენზინის დეფიციტია! —
ეს აღარ არის ზღაპარი!
ზოგს ეს ფეხებზე ჰკიდია,
დაგვცინის განზე გამდგარი!..
დავეძებთ ბიდონ-კასრებით
დღე-ღამ გაბმულნი „რეისში"
და უჯილაგო ვაჭრები
ნავთს „გვთავაზობენ" ბენზინში!..
საცოდავს ნამუსს ურცხვენენ
ფულის კეთების ზრუნვაში
და იმერულად კაზმავენ
„იმ საწყალს" ჭიათურაში!..
საბრალოს რა ეშველება?! —
არ მასვენებენ ფიქრები!
მაწამებს ციებ-ცხელება,
როცა ამ ამბავს გიყვებით!..
ბაზებში დათარეშობენ



ექიმბაშები ჩალმებში,
მერე ორმაგ ტყავს გვაძრობენ
ბენზინგარეულ წამლებში!..
ამას ხუმრობით არ ვამბობ,
ვფიცავ, არც მქონდა გუმანში,
ღმერთმანი, სინდისს ვღალატობთ
ეკონომიკურ ჭმუჭნვაში!..
ქართველნო, ღმერთს ნუ
შევცოდავთ,
არ შევირცხვინოთ ულვაში,
სიხარბე მტრად გვიწერია
„ბიბლიაშიც" და „ყურანშიც"!

## ინფლაცია

ტლუ, უჯიშო ინფლაციამ
არც აცხელა, არც აცივა, —
შემოგვიხტა, დაგვარბია
და შავი დღე დაგვაწია! —
ყველგან შეძვრა, შეიხედა,
ყველა ხვრელში შეაღწია,
ბაზრის კარი აგვიჭედა,
დაგვიცალა მაღაზია!..
„გადაგვკიდა" ცოლს და
შვილებს! —
არც ახურავთ, არ აცვიათ!..
იმ ულმერთო ინფლაციამ
მკბენარებიც დაგვასია,
ორდენებად ჩამოგვკიდა
გამოძალვა, კორუფცია,
სპეკულანტებს დაგვაპიდა,
დაგვავსო და დაგვაქცია!..
ხედავთ, ხალხნო?! ინფლაციამ
გაგვაშიშვლა, დაგვაშია,
ქვეყნის შარში გაგვხვია და
ხელმრუდობას დაგვაჩვია!..
თქვენ გგონიათ, ინფლაცია
მხოლოდ ჭამა-ჩაცმაშია?! —
იგი „ჭკუის თამაშია",
ჭკუა „კრემლის მამაშია",
ქაჩალ თავის ქალაშია
და „დედოფლის" კაბაშია! —
„საქმეც სწორედ ამაშია!"

## ჩემო გურამ, ჩემო ჭიჭია!..

მკითხავთ და გეტყვით,
ჩემო გურამ,
ჩემო ჭიჭია:
„კარგი ბიჭობა"
გ ა მ ი გ ი ა,
ნაღდი ნიჭია!..
ზოგზე ამბობენ:
„ვ ა ჟ კ ა ც ი ა,
კარგი ბიჭია,
ლხინის მოყვარე,
და მოთავე!" —
და არ იციან,
რომ ის „ვაჟკაცი"
ჩ ა ნ ჩ უ რ ა ა,
საქმით — ჭინჭია
და ვინაც ასეთ
„ბიჭს" ენდობა, —
მაცდურს, სინჯიანს, —
ისიც ბეცი და
უ ვ ი ც ი ა,
თანაც — ფინთია!..
ცდებიან ზოგჯერ
უ გ ო ნ ო ნ ი
და არ უწყიან, —
ღირსთა ქებით
უნაყოფო ნაყოფს
ი მ კ ი ა ნ!..
მოდა, იცოდეთ,
აწი მაინც,
გურამ, ჭიჭია, —
მშრომელი თუა,
კ ა ც თ მ ო ყ ვ ა რ ე, —
კარგი ბიჭია,
და მისი ყოფნა
ამ მიწაზე
ქვეყნის ნიჭია!..

## ყველაფერს ყიდიან!

ყოველდღე ბაზარში
მ ი დ ი ა ნ —
იშრომეს და ნაშრომს
ყ ი დ ი ა ნ!..
ზოგ-ზოგნი სხვის ნაშრომს
ყ ი დ ი ა ნ —
იციან და მაინც
ყ ი დ ი ა ნ!..
ოჰ, ღმერთო,
არაფრის რიდი აქვთ —
ს ი ნ დ ი ს ს ა ც,
ნამუსსაც ყიდიან!..

## „შტურმის მამა"

ხმა გავარდა ბასრი, მჭრელი,
ცხელი, როგორც ტყვია, ხისტი —
„ძირს ვერაგი პიტერელი
და პირველი ტერორისტი!"
გაილია მოთმინება,
შტურმის ქარმაც დაუბერა,
მოძალადის შეგინება
შემგინებელს დაეძგერა!..
ჩამოგლიჯეს ყორანს ფრთები —
სამართალმა პური ჭამა!
ვით ნაცვეთი ხამზრეები,
ნაგავს გაჰყვა „შტურმის მამა"!..
არც სიფრთხილეს სტკივა თავი,
განთიადს რომ ეფონება:
„ფრთხილად! —
თავზე დაგვფრენს ხვავი!" —
გვესმის მოყვრის შეგონება,
წარბი გახსნა დედაქუჩამ,
გაბრწყინდა, ვით დედოფალი!..
დემონს მკლავი აღარ უჩანს,
მაგრამ... ფრთხილად — ახე
თვალი!

ილუსტრაციები
მურთაზ აბაშიძისა



# მაყუჟანი ოჯახი და კაჩა ჯამბღაური

ნ ო ვ ე ლ ა

სასტუმრო ო თ ა ხ შ ი გრძელ მაგიდასთან შემომსხდარ სტუმრებს პირგაბადრული ოჯახის უფროსი ნიკანდრო გნოლაძე, კარგა ხნის გარდაცვლილ ბაბუა სილიბისტროს ამბავს უყვებოდა:

— კარგი ყაძახი იყო საწყალი, მონადირე, მომლხენი; ჯავრი იმან არ იცოდა და ფიქრი; ქეიფობდა, დროს ატარებდა. ის რომ სუფრას გაშლიდა და ყველას დაპატიჟებდა, კარგა ხანს ჰქონდათ სოფელში სალაპარაკოდ. ჰოდა, ერთ დღესაც მოსვლია, ჩემო ბატონო, მოყვრები. გაუხარია, მაგრამ რა გაუხარია! აი, იმ ნიგვზის ძირში გაუშლია სუფრა, სამი უშობელი დაუკლავს და ხუთი თხა, ღვინომ ხომ წალეკა იქაურობაო!..

— მაშინ გაკეთებული ღვინო არ ექნებოდათ, არა, პატივცემულო?

— როგორ გეკადრებათ?!.

— გულუხვი კაცი ყოფილა, როგორც ჩანს!.. — ჩაურთო სიტყვა დათამ და თავისიანებს გადახედა.

— კი, ბატონო, მტერს შეშურდებოდა მისი გულუხვობა. ჰოდა, იმას ვამბობდი, ყანწი რომ მესამედ ჩამოუტარებიათ, მზარეული ჰინჰრაქაძე ტარიელი მივარდნილა გულგახეთქილი და ნიკანდროსათვის ყურში უჩურჩულია, — ერთი ბეჭი ქვაბიდან ამოგვტაცეს ძაღლებმა და რა ვქნათო?! ბაბუაჩემს ერთი კი გადაუსვამს ულვაშებზე ხელი, რავარც იცოდა ცხონებულმა, და მერე უთქვამს: — მაგისათვის მაცდენთ ტოლუმბაშ კაცს?! დაკალით მეოთხე და სამივე ბეჭი ახლავე სუფრაზე გააჩინეთო!

— ახლა რამდენი ძროხა იქნება თქვენს სოფელში, ბატონო ნიკანდრო?

— ახლაა? ახლა ქე იქნება სამიოდე, ორი ხბოიანი ძროხა საწყალი ეკვირინეს ჰირის სუფრაზე დაკლეს წინა კვირას!..

კარები შემოაღო დიასახლისმა.

— ბოდიში, ბატონო, რომ გაწუხებთ! ნიკანდრო, ერთი წუთით გამოდი, თუ შეიძლება!

ღიად დარჩენილ კარში ძვლებად ქცეულმა კატამ შემოყო თავი, აქეთ-იქით ეჭვიანად მიმოიხედა და რაკი არავინ გამოთქვა პროტესტი, კნავილით ოთახში შემოიძურწა.

— ეს კატა მეტისმეტი ჭამისაგან იქნება ტყავად ქცეული. — ჩაილაპარაკა ჰროლამ და ტუფლის ჰვინტი კუდზე აუსვ-დაუსვა.

— აბა, თუ გამოიცნობთ, რამდენი ნეკნი აქვს ორივე ფერდში?

— თქვენ ერთი ფერდისა მითხარით და ორივესას მე გიანგარიშებთ! — დაივალა მონანგარიშე ფიდამ და სიგარეტს მოუკიდა.

— ალბათ აზიზად მჭამელია, ხორცს სათოფედ არ ეკარება.

— ჭამაზე არ არის, ვერან! ჩვენი საწყობის გამგეს რაა, საჭმელი აკლია?! რაც უნდა ჩააცეცხლო, ვერ გაასუქებ, სიგარეტისაგან ისეა გამოფიტული, ღორის ტყავის საქალამნე გეგონება.

— ჰოდა, ამ კატასაც, ალბათ, მარლბოროს წევისაგან აქვს ფერდის ქონი დამდნარი.

...ვერ იქნა და ვერ გამოუსწორდა ხასიათი სოსანა შაშვიაშვილს, ვერაფრით შეგუებოდა ერთადერთი ქალიშვილის ასე შორ მანძილზე შესაძლო გამოთხოვებას. როგორ არ ითრია ფეხი, რა მიზეზი არ მოიგონა, რანაირი გაქირი არ გასწია, მაგრამ მაინც ვერ გადაურჩა დედაკაცის მიერ გამოტანილ განაჩენს!..

— წადი, კაცო, გაიგე ვინ არიან! შენი ქალიშვილია, გერი ხომ არა?! იქნება იმ ბიჭს სახლიც არა აქვს და ეს გოგო ცის ამარა გინდა გაუშვა?!

— მერე, ვინ აძალებს?! სახლიც კარგი აქვს და კარიც!..

— რას იზამ, ასეთი წესია, ქალი უნდა გათხოვდეს, პატრონი იშოვოს! მაშ, როგორ გინდა?! მოინელე, სოსან, მოინელე!

ვერ მოინელა. ვერც სასიძოს შეუწყო ხასიათი, — ჩვენი კლუბის რადიოსავით აქვს ენა ჩავარდნილი, ჭიქას წინ დაიდგამს მელოთ მკითხავივით და შიგ ჩაჰყურებს გამოშტერებულიო! ერთხელ ასვა და ასვა თავისი ვენახის საფერავი, — რალაც ბოლმით არის დაზაფრული და იქნება მაშინ მაინც ამოთქვასო, მაგრამ სასიძოს უფრო ჩაუვარდა ენა. ვერც სუფრასთან ჩერდებოდა, წარამარა გარბოდა გარეთ!.. უყურა, უყურა სოსანამ და როცა გაუწყდა მოთმინების ძაფი, ფეხზე წამოვარდა და თავის ქალიშვილს დაუტატანა:

— გაწყდა იმოდენა ქალაქში კაცი, რომ ეს კუჭაშლილი არ ჩამოგეყვანა?! — მერე მთვრალი სასიძო დაჯდა მაგიდასთან, მაგრამ რაღა დროს, შუაღამე მიწურული იყო, სკამი შემოიტრიალა, ზედ ჩამოემხო და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, ჯამ-ჭურჭელმა რაკრაკი დაიწყო.

— ნეტავ, სიფხიზლეში ამოთქვამდეს ასე ომახიანად ეს ოხერი!.. — ჩაილაპარაკა სოსანამ და ხელი ჩაიქნია.

სცადეს ტახტზე წამოეწვინათ, მაგრამ სკამზე ხელები ჰქონდა შემოხვეული და ვერაფრით გააშვებინეს. მერე [illegible] დათ. ოთხმა კაცმა ცხმ[illegible] აწია და სკამიანად ნარნარად დაუშვეს ტახტზე...

— რაღა ეს და რაღა „სოიუზ-12“! — ჩაიქირქილა მოძმანიანთ ჯლაბამ და უნდილად გაიკრიჭა. საბანი სკამის ფეხებზე ანტენასავით იყო აპრეხილი და კარის ყველა გაღებაზე კონკილასავით ქანაობდა. მაშინ იყო, წიწაკაანთ მიტუას წყაროზე რომ ეთქვა, — სოსანამ თავის სტუმარს სანიავებელი დაუტოვაო.

მას შემდეგ თებრო კარგა ხანს ვერ უბედავდა ლაპარაკს, მაგრამ როცა აღდგომის წინა კვირას ნატოს წერილი მიიღო, ველარ მოითმინა და თავისი ქმარი ცრემლიანი საყვედურებით აავსო:

— რა ღმერთი გიწყრება, ადამიანო?! წადი, ქვეყნის დასალიერში ხომ არ არიან იმ ბიჭის მშობლები?! აღდგომა დღეს გეპატიჟებიანო, გოგო იწერება!

რაღას იზამდა, სოსანა სოფელში გავიდა, სამი ძმაკაცი მოძებნა, სახლში მიიყვანა, დედაკაცს სუფრა გააშლევინა და თავისი ხვაშიადი მერვე ჭიქაზე, როგორც იქნა, ამოღერღა.

— ჰოო... და, ახლა თქვენ იცით, იმ ბაიყუშის სოფელში უნდა გამომყვეთ, შორი კია, მაგრამ მაგაზე შორს რომ ყოფილიყო, არ გამოგყვებოდით?!

— გამოგვყვებოდი! — კვერი დაუკრეს ძმაკაცებმა და მტკიცე პირობა მისცეს, გვერდში დაგიდგებითო!

— მხოლოდ ერთიც უნდა გითხრათ: მე თბილისში ისეთი საქმე მაქვს, რომ ვერაფრით გამოვაკლდები, ამიტომაც თქვენ ჩამოხვალთ იმ ბიჭის სოფელში ათ საათზე და იქ დაგხვდებით კოოპერატივთან!

სოსანამ მეორე დილას დაქოქა „ჟიგული“ და, ტყემლიანში კი არა, იქიდან 10 კილომეტრის მოშორებით სოფელ კოწახურისაკენ, თავისი მამიდაშვილის ქვისლის მშობლებისაკენ აიღო გეზი და იმავე დღესვე გაიგო იმ ბიჭის ავანჩავანი.

— მაგ ბიჭს, ბატონო სოსანა, როგორც გავიგეთ, ერთი პირი ცოლ-შვილი მიტოვებული ჰყოლია და ახლა ის გოგო სოფელ გორიანშია თავის მშობლებთანაო, კაპიკო რომ კაპიკია, იმას არ უგზავნის იმ საცოდავსო!..

— როგორ თუ არ უგზავნის?! თავისი შვილი მაინც არ ეცოდება?!

— რომ ეცოდებოდეს, ხომ გაუგზავნიდა!

— თუ გინდა, ჩავიდეთ, ვნახოთ, აქვეა ახლო, ორ ნაბიჯზე!

— არ არის საჭირო!..

— ჰო, კიდევ, ახლა ვიღაც ორშვილიან ქალთან არის შეკედლებული თბილისშიო!..

— დიდი მადლობელი ვარ, სიკეთეში გადამეხადოს! — ჩაიბურტყუნა სოსანამ და ჯიბიდან მანქანის გასაღები ამოიღო.

— აუჰ, მოგვჭრი თავს და ეს იქნება! სოფელში როგორღა გავიდეთ სირცხვილით?!

იმდენი ეხვეწნენ, იმდენი ურტყეს კალთებზე ხელი, რომ იმ ღამეს იქ დარჩა, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ყელში არც ღვინო გადასვლია და არც პურის ნატეხი.

მეორე დღეს ძმაკაცებს შეხვდა, მაგრამ სიტყვა არ დასცდენია. საჭიროად ხომ არ გაიხდიდა საქმეს. წინ გაუძღვა და კითხვა-კითხვით მიადგა სასიძოს მშობლების სახლს.

. . . . .

„მიაუ!" — თავი გაახსენა კატამ ჩამოსულ სტუმრებს. ოთახში შემოსული მასპინძელი უსიამოვნოდ დაიღმიჭა.

— აცხა, შე ოხერო! აქ საიდან გაჩნდა ეს მგლის კერძი?! აცხა-მეთქი!..

ნიკანდრომ კარები გამოაღო და ისე მძლავრად მოუქნია ფეხი, რომ თუ მოხვდებოდა, აღარ დასჭირდებოდა ნეკნების დათვლა მონაგარიშე ფიდოს.

— ყველაფერი გვაქვს, ბატონო სოსანა, სახლში, სასმელი ჩვენ არ გვაკლია და საჭმელი სოფელში, კვეხნით არ ვიტყვი და დოვლათით, ქონებით ბარემ ორი არ გვჯობია, მაგრამ გამზადება ხომაა საჭირო?

— „მიაუ!" — ახლა საწოლის ქვეშიდან გაისმა კატის კნავილი.

— აცხა! შენ გადაშენდი მაინცდამაინც! — ახლა კი ნამდვილად გაჯავრდა მასპინძელი. — რაც შენ საჭმელს გაჭმევთ, შე დაკვრანჩხულო, რაღა გაქვს საკნავლი?!

— „მიაუ!" — კარადის კუთხეს ამოფარებულმა გააბა კნავილი შეშინებულმა კატამ.

ნიკანდრომ ფანჯარა გამოაღო:

— ჯოხი, მინადორა, ჯოხი მოიტანე!..

— ჯოხი კი არა, საჭმელი უნდა, გესმის?! საჭმელი!.. თქვენ კატისთვის ვერ მოგივლიათ და რძალს მოუვლით?! ადექით, ბიჭებო, რას ჩაიბუდეთ?! ადექით-მეთქი, არ გესმით?!

— ხუმრობ, სოსან, თუ მართლა ამბობ?!

— რა მაქვს სახუმარო?!. აბა, წავედით! უკან ნუ გრჩებათ ფეხები!..

— კატის გულისთვისა, კაცო?!

— ჰო, კატის გულისთვისა! კატაც ღმერთის გაჩენილია!

— ბატონო სოსანა, ბატონო სოსანა!..

— კარგად იყავით! კატის საჭმელს, ჩავალ თუ არა გამოგიგზავნით, მისამართი კარგად ვიცი, არ შემეშლება!

სოსანამ გოთურგით მოიშორა ბრინჯივით დაბნეული მასპინძელი, ძმაკაცები მუჯლუგუნით გაყარა გარეთ, თვითონაც უკან მიჰყვა და კარები ძალუმად გაიჯახუნა!..

იმის შემდეგ გავარდა სოფელში ხმა, — შაშვიაანთ სოსანამ სასიძოს ოჯახი კატის გულისათვის დაიწუნაო, მაგრამ სოსანას გული არ მოსვლია, — ეგრე იყო ნამდვილად და ყველამ თავის მამიდას მოუაროსო! — ჩაიბურტყუნა და თავის ნათქვამზე თვითონვე გაიკრიჭა.

**ვალერიან მამუკელაშვილი**




ნახ. ნიკო არაბიძისა (ქ. ქუთაისი)



— ეს ყასაბი მოკვდა თუ?!.
— მე ვარ, როცა ხორცი მქონდა!..



— გაიგე?! კომპარტია ავტორიტეტს კარგავსო, თურმე!..
— მე ჩემი გავინაღდე და აწი, რაც უნდა, ის დაკარგოს!

ნახ. შ. ლოლაძისა

# იქნებ, ვაცლავ ჰაველიც და ლეხ ვალენსაც ჩვენია?!

იუმორესკა

სადამ ჰუსეინი რომ ნაღდი ქართველია, როგორ არ ვიცოდით!.. ვიცოდით, ბატონო, ძალიან კარგად ვიცოდით, მაგრამ ხმა არ ამოგვიღია და ამ ამბავს გულში საიდუმლოდ ვინახავდით! აბა, რა გვექნა იმის შემდეგ, რაც სტალინი ლამის შარაგზის ყაჩაღად გამოაცხადეს?! პირში ენა როგორ მოგვიბრუნდებოდა იმის სათქმელად, რომ სადამ ჰუსეინი საქართველოს შვილი იყო, რადგან უკვე გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაიტუნგმა“, ხოლო შემდეგ გაზეთმა “სობესედნიკმა“ მთელ მსოფლიოს ამცნეს სადამ ჰუსეინის ქართველობა, რაც სრული ჭეშმარიტებაა! მე მგონი, გაჩუმებას უკვე აზრი არა აქვს! რა ვქნათ ახლა იმის გამო, რომ სტალინი ქართველი იყო და ჰუსეინიც თავის დიდი ბაბუის — იოსებ ბესარიონოვიჩის გზას გაჰყვა?! ამის გამო კაცობრიობამ ჯვარს ხომ არ უნდა გვაცვას?! არადა, ხომ გვყავდა და გვყავს დღესაც ისეთები, ვის ყოლასაც ნებისმიერი ცივილიზებული ერი ინატრებდა?! აი, თუნდაც ჯორჯ ბუში! ამერიკამ ინატრა ეს კაცი თავის პრეზიდენტად და ჰყავთ კიდევაც! ღმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს მისი თავი, მართლაც რომ სასახელო შვილი გვყავს ქართველებს, ჯუღაანთ ბიჭი არაბეთში მრუდე გზას რომ დაადგა და კუვეიტი მიიტაცა, ვინ ამოიღო პირველმა ხმა? რა თქმა უნდა, ისევ ქართველმა! ჩვენი ჯორჯი ისეთი ვინმეა, ზედმეტს არავის შეარჩენს და არც ჰუსეინს მისცემდა იმის უფლებას, ვინმე დაეჩაგრა! ისე, არც ჰუსეინი უნდა ჩანდეს მაინცდამაინც მთლად ხელიდან წასული: თუ გაზეთს და ტელევიზიას დავუჯერებთ, გიჟდებიან ამ კაცზე, თურმე, არაბები! მე ახლა იმის ფიქრი უფრო მკლავს და მაწვალებს, კიდევ სად და რომელ სახელმწიფოს უდგანან ქართველები სათავეში. თქვენი არ ვიცი და მე კი ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ თეთჩერის თბილისში ჩამოსვლა, რუსთაველის პროსპექტზე ფეხით გასეირნება და ქორწილებში სიარული ცოტა უცნაურად მეჩვენება! ერთი სიტყვით, ჩემი წინადადება იქნება, თუკი ამას მხარს დაუჭერს ქართველი საზოგადოებრიობა, სასწრაფოდ შევქმნათ კომპეტენტური კომისია, მივავლინოთ იგი ინგლისში, რათა ყოველმხრივ საფუძვლიანად შეისწავლოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ თეთჩერის წარმოშობა. აუცილებელია, ასევე, კომისიამ იმუშაოს საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, თურქეთში, ირანში, რათა საბოლოოდ გაირკვეს ამ ქვეყნების პრეზიდენტების წარმოშობაც! არ არის საჭირო კომისიამ იმუშაოს აფრიკის ქვეყნებში, ვთქვათ, მოზამბიკაში, კონგოში, ანგოლაში, კენიაში, ზამბიასა და ზიმბაბვეში, რადგან ამ ქვეყნების პრეზიდენტებს ზედვე ეტყობათ, რომ ქართველობისა არაფერი არ სცხიათ! თუკი ასეთი კომისია შეიქმნება, ვთხოვ მის წევრებს ჩეხეთ-სლოვაკეთისა და პოლონეთის პრეზიდენტებზე — ვაცლავ ჰაველსა და ლეხ ვალენსაზეც გაამახვილონ ყურადღება! ვინ იცის, იქნებ ისინიც ჩვენია და ჩვენ კი ჭურში ვსხედვართ! ერთი სიტყვით, ვთხოვ ქართველ საზოგადოებრიობას, გულთან ახლოს მიიტანოს ეს საკითხი და იფიქროს კომპეტენტური კომისიის შექმნის აუცილებლობაზე!

ნიაზ ლემონჯავა.

# პროტექციის „სიკეთე"

რაც თანამდებობაზე დამნიშნეს, მას შემდეგ შევნიშნე ჩემი მეზობლების უცნაური გაღიმებაც და მორიდებაც, ამხანაგებს და მეგობრებს ახლა მოუნდათ ჩემი სიყვარულით გაგიჟება. თქვენ წარმოიდგინეთ, ოჯახის წევრებმაც სხვანაირად დამიწყეს ყურება და „მელკამაც". კი (ჩვენი ფინია) იცვალა ზნე.

მოკლედ, ყველგან და ყველაფრით იგრძნობოდა, რომ მე ვიყავი დასაფასებელი, გავლენიანი, ჭკვიანი და თურმე ნათესავების, მეზობლებისა და ახლობლების დიდად მოსიყვარულე პიროვნება. აბა, რა კაცი ხარ, თუ შენს მეზობელს სადმე საწყობში არ დააწყებინებ მუშაობას, ან შენი ცოლის ბიძაშვილს იმპორტულ კვეჯს არ გამოატანინებ, ანდა სიდედრის დეიდაშვილის ნახევარძმას უმაღლესში არ მოაწყობ?!

ეს დალოცვილი ქართველები ისე ცოტანი ვართ, რომ ყველა ერთმანეთს ვიცნობთ, ყველა ერთმანეთის ნათესავები და ახლობლები ვართ. ვერაფერზე ვერ ვეუბნებით ერთმანეთს უარს. ვბანთ ერთმანეთს ხელებს და ვაკეთებთ უკეთურ საქმეებს!..

გამომეცხადა ერთი ასეთი ადამიანი მეც, მაქო და მადიდა, შემდეგ ერთი ფრიად სამწუხარო ამბავი მამცნო: თურმე გულის ტკივილი დასწყებია და იცით, რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი საქმეების გამო ვერ ვიცლით ერთმანეთისათვის და ვერ ვუთმობთ დროს ერთმანეთს. ბოლოს ისიც (სხვათა შორის!) გამიმხილა, რომ ბიჭი ჩამოსულია ახლახან ჯარიდან და ტაქსზე ნდომებია დაჯდომა. აბა, როგორ არ უნდა მტკენოდა გული, როდესაც კაცმა ასე დიდი ამბით შემიძახილა თავისი ბიჭის გასაჭირი?!

ეს დაწყევლილი ტელეფონიც ხომ ზოგჯერ უკეთური საქმეების საკეთებლად არის მოგონილი!

კინაღამ ცრემლი დაღვარა განშორებისას ადამიანმა, თავი მდაბლად დამიკრა და პირველი სიყვარულივით დაიკარგა!..

— : — : —

...გარეთ საშინლად წვიმდა. თავზე ლაბადა გადავიფარე და ცარიელი ტაქსის მძღოლს კარიკატურასავით დავეღრიჯე.

ზოგ კაცს სულ გაფუჭებული აქვს ხასიათი, ზოგი, ან თვითონ იფუჭებს, ან სხვას აფუჭებინებს. არ ვიცი, ტაქსის მძღოლი რომელ კატეგორიას მიეკუთვნებოდა, მაგრამ მე კი ვიფიქრე, ალბათ, ამინდმა გაუფუჭა ხასიათი-მეთქი და აღარ მივაქციე გინება-განზავებულ მის ლაპარაკს ყურადღება; მაგრამ მაინც გამიფუჭა ხასიათი, როდესაც მანეთის ნაცვლად ორი მანეთი მივეცი და ღმერთის შეურაცხყოფისათვის (ვითომ, სამობითაა), რატომ სამი მანეთი არ მომეციო, პატიოსანი დედაც საფლავში შემიწუხა, დავინტერესდი და ვკითხე, თუ ვინ ანდობდა ამისთანა თავხედს ასეთ კეთილშობილურ საქმეს, როგორიც არის მგზავრთა კულტურული მომსახურება. როდესაც გვარი და სახელი გამოვკითხე და ჭკუის სწავლებით დავემუქრე, ინტრიგანი მიწოდა და დამუქრებითაც აქეთ დამემუქრა. ჭკუით იყავი, თორემ მე ასეთი და ასეთი კაცი მმფარველობს და არ წაგივაო კარგად საქმე.

რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც ჩემი სახელი და გვარი გავიგონე და უცებ ყველაფერს მივხვდი. მივხვდი, თუ რატომ მეჩვენა ამ კაცის სახე ნაცნობი. ეს ხომ ჩვენი ადამიანის იჩი არის! რაღა მეთქმოდა? წამოეისხი ჩემი ლაბადა, რომელმაც შეაცდინა ტაქსის მძღოლი (ალბათ, ყარაული ვეგონე) და მივეცი თავი უსასრულობას.



**თედორე ბაბიძაშვილი**



ნახ. ვ. ქეთაისი

— ეს ავტომატი შენია?
— არა, კალაშნიკოვისაა!



# თენგიზ სვანაძე

## ტკივილი

სისხლი!..
ვისი?!
რა ხდება?!
მოდი, ნუ გაავდები!
მართლის თქმა და გაგება
არის ძმობის თავდები!
ვაი, გული ქართველის,
ისიც შენს ცას ჩემულობს!..
რა შხამ-გესლით დათვერი,
რა მოგდის, ჩვენებურო?!
ჩვენს ძმობაში, მითხარი,
ვინ არ ისვენებდა?!
მგლის მადავ, საზიზღარო,
ვინ განგკურნოს ადვილად?!
რა ეშმაკმა შეგრისხა,
აგიმღვრია გონება?!
შენს სულს,
შენს გულს,
შენს ჭიგარს
ეშმა ეპატრონება!..

●

ჩვენი მიწის ხიზანი, —
ზოგი, — განზე გამდგარი!..
უნდა ჩაჭრეს ხანძარი,
თავს წავაგებთ სხვაგვარად!
ღმერთო, რა ვეშველები,
ვისგან ვართ გათვალულნი?!
ზოგ-ზოგს უქართველებოდ
უყვარს მიწა ქართული!..
ოჰ, მიწავ ქართულო,
უნდა გძიძგნონ რამდენმა?!
როცა შხამი მატულობს,
ტანჯვა აღარ თავდება!..
გული რად დაგიმძიმდა,
ჭკუმართალო ქართველო?! —
მამა-პაპის მიწიდან
შენ ვერავინ გაგდევნოს!
ვინ — ორგულობს,
ვინ — ტყუის!..
რამ შეცვალა ამინდი?!

რომ უყვარდი. ნუთუ ის
გულღრძოა და ასპიტი?!
რაც ქვა გული მომრავლდა.
წუთი მოდგა სატირლად!..
რანაირი ძმობაა?! —
შევიშლები ნამდვილად!
ღმერთო, ერთ დღეს მომკალი,
თუ ვინატრო ცა სხვისი!..
ჩვენი მიწის მოძალეს
ოხრად დარჩეს თავისიც!

## გზებზე სისხლი იღვრება..

ზოგჯერ საჭეს ვუზივარ,
ზოგჯერ — საწერ მაგიდას!..
იქნებ ვერ ვთქვა ბოლომდე,
ახლა რისი თქმაც მინდა!
ვისაც გულში მოხვდება
და სულს ატკენს ძალიან,
ბოდიშს ვუხდი წინასწარ.
რა ვქნა,
ჩემი ბრალია?!

●

შუქნიშანზე, წითელზე,
გადის, არ ეპუება!..
ჯიბეს ფული უმძიმებს.
რაღა გაემტყუნება?!
შედის, სადაც ხოში აქვს,
არც შენ გამჩნევს,
არც — ნიშანს!..
მგონი, კაცმა კი არა,
ფულმა უფრო აიშვა!..
მსწრაფლ გადაკვეთს მთლიან ზოლს,
ყველას წინ რომ მოექცეს!..
შენ კი შენს რიგს მიჰყვები,
ბური ხარ თუ მოლექსე!..
ამიტომაც კვდება
ხშირად გზებზე ხალხი!..
ხატამალიც არ შერჩათ
ზოგიერთებს კაცობის!..
ტრასებზე ხომ ნამდვილი
გადარბენა იწყება! —
შემხვედრს რომ არ შეახედეს,
უცებ წინ ჩაგიდგება!
„დაარტყამ" და — ტუშიხარ! —
კანონი გვაქვს ასეთი!..
ამ კანონით სარგებლობს
ზოგიერთი თავხედი!..
ზოგს მგონია, რომ ხმელეთს
არც ყური აქვს, არც — კიდე! —
გამლევს სიგანეს.
გინთებს შუქს. —
ლამის გადაგაფრინდეს!..
გისწრებს აქეთ-იქიდან,
უკან არ იხედება!..
და გზაც, ჰკვიან კაცისთვის,
შიშია და ფეთება!

●

ზოგჯერ თავს ვეკითხები
და გული ამიმძაბის: —
„შენც ყოველთვის ტყუილი,
გაგაჩერეს როცა კი?!"
და ზოგი ინსპექტორი
მტყუანია ძალიან!..
ისე, უმრავლესობა
სულ მართლები არიან!

●

ყველაფერი, რაც ითქვა,
სიმთვრალესთან ნულია!..
ზოგი ჰყვება, —
მთვრალს ცხრა მთა
როგორ გადაუვლია!..
თუ ფული გაქვს, დარღვევის
გაქვს ათასის უფლებაც!..
ვთქვით სამშობლოს ღალატად
ამგვარ „თავისუფლებას"!
გზებზე სისხლი იღვრება! —
არ მკაცრდება კანონი!..
ჩვენ ვართ ჩვენი სიცოცხლის
სრული ბატონ-პატრონი!
არ გვექნება ერთი დღეც
მოლხენის და სიმშვიდის,
სანამ ყველა დარღვევას
ფული გამოისყიდის!



## მომხმარებელთა სიმღერა

კოოპერატივებში
ფასი გახდა სამმაგი!..
ემსგავსება ვინ შეშლილს,
ვინ — ნანაობს ჰამაკში!..
ცხოვრებაა უნდობი,
ჩემი კარგო ძამიკო!
ნიჭი თუარ გაქვს ქურდობის,
ფეხი უნდა გაფშიკო!..
ჰერი, ბიჭო, ჰერიო,
შენ მოგიკვდეს მტერიო! —
კოოპერატივებმა
გამოგვლადრეს ყელიო!..
დარდმა დღე შეიწირა.
მგლურად მოდის შიმშილი!..
წივის სული — წიწილა.
ღმერთო,
ღმერთო,
გვიშველე!



## უთოფო ყარაჩოხა

ერთი ცალი ლიმონი
გახდა ხუთი „მანეთი"!..
გიწვევთ ჩიქა ჩაიზე,
მოსაწვევი ბარათით.
ფორთოხალიც ასეა! —
არ გეგონოთ იაფი!..
შინ მეფელი ბრუნდება
წყევლითა და წიოკით!..
წიგნის გაშლა ვისთვისაც
იყო ძილის წამალი,
დეზებს ისე აქანებს,
ვით დიდლებში მამალი!
მესმის! როგორ დავყრუვდე
სისინით და მიბაძვით: —
„ფასი თუ გეძვირებათ
ცეკავშირში მიბრძანდით!"
ჩვენში დარჩეს, რა გიხდა
რომ ცეკავშირს არ ჰქონდეს?!
ფასსაც თვითონ ის ადებს
ვითომ „თავის" საქონელს!..
კარგი მიაქვთ! ყიდიან
უვარგისს და ნარჩევალს!..
ღმერთო, რა ეშველება
წვრილ ცოლ-შვილის მარჩენალს?!

მეტსაც გეტყვით: რად გინდათ
მაწყვეტთ მცნებას დავითის?! —
ვერ გავიგე, — ხელში აქვთ,
თუ სასწორში მაგნიტი?!
ექვს კილოგრამს გიწონის,
შინ მიდიან — ოთხია!..
არის დარწმუნებული, —
არასოდეს მოთხრიან!..
გული დარდმა მოიცვა,
რადგან ფული არ ფულობს!..
ფასი, გარდა ცოდნისა,
ყველაფერზე მატულობს!..
როგორ ვიყო ვაჭრების
მეხოტბე და ქომაგი?!
კუჭი რომ გამოძღო,
უნდა გქონდეს ოთხმაგი! —
ჯამაგირი ან თავი
უნდა დადო სასწორზე!..
კუზიანი ცხოვრება
როდის უნდა გასწორდეს?!

●

ყველაფერზე — რიგი და
ყველაფერზე — ფეთება!..
ყველგან,
ყველგან უთოფო
ყაჩაღობა გრძელდება!

## ჭკუიდების ანლაზარი

ზოგიერთ ვაი-ექიმებზე

●

ერთმა აგონა მეორე,
მეორემ: — თვითონ მორჩით,
კაცი რო შემოგაგინებს,
შენც უნდა შეუკურთხო!..

●

მე ავადმყოფ კაცს რა ვუთხრა, —
მშველელს დაეძებს ყველგანა!..
მატყუარებმა დალუპეს
და დააქციეს ქვეყანა!..

●

— წადი, წადი!..
— მადლობა!..
— ისევ, განგკურნავს ერთბაშად!..
— შენ წამლით ხომ გამახარე,
მე ლექსს მოგართმევ ფეშქაშად.

●

უკვე ერთი თვე თავდება,
ვარ მიჯაჭვული სარეცელს!..
ო, როგორ მინდა შეგაშრო
(მუზავ, გთხოვ, არსად გამექცე!)
შენი წამალი ფუჭია,
დრო-ჟამმა თუ არ უწამლა!..
ამაოდ ნაშოვნი ფულები
მოგხმარებოდეს სულ ამაოდ!
თუ ავადმყოფზე შეგტკივა
გული, არ ტყუი სრულებით, —
ჯერ ავადმყოფი განკურნე,
მერე ჩაბღუჯე ფულები!
ნამუსგარეცხილ ქალივით
ფულებს წინასწარ ღებულობ!..
ქართველი კაცის სინდისო,
სად ხარ, ოდითგან ქებულო?!
რომ ცრუობ, არვინ არ გითხრა,
ან არავინ გყავს მოკეთე?!
ფულით ატყავებ, წამლითაც
ხალხს! — ღმერთო, სად ხარ,
მოგვხედე!..

## სიმდიდრის წყარო

მედიცინა, სახალხო,
წყარო გახდა სიმდიდრის!..
შენ რა გიჭირს, იცინე! —
თავი გაქვს ვის სიმწრით!
მონუსხული ხელფასი,
ფასები — გაბერილი!..
ამგვარ უსამართლობას
ვინ დაუსვამს წერტილი?!
იქნებ მეტისმეტია
მადა კაცის, ცბიერის?!
თუკი შენში ღმერთია,
იყავი ღვთისნიერი!..
ვისაც რა შეგვიძლია,
ვინ დავგაკლებთ შველისთვის?!



თქვი, დღემდე თუ დაგიკლავს
ხარი, ღმერთს რომ შეჰპირდი?!
ძალიანაც მიჭირდეს,
თავს ვერ გავუყო მახეში.
რადგან შველას მპირდები,
შველას — ცეცხლის ფასებში!..
ეშმაკს გაუხარია!
ღმერთკაცობა ძნელია!
ვინ თქვა, — კაცი ხვავია!
ვინ თქვა, — კაცი მგელია!
მედიცინა, სახალხო,
წყაროდ იქცა სიმდიდრის!..
რა ვქნა, თუ მოიწყინე,
თუკი ვერ გაგიფრთხილდი!
სულიც არ ვარ უგული,
წუწუნა და ქაქანა!..
არვის შველი უფულოდ! —
კაცი ხარ თუ ხატანა?!

## ნავთი

უშუქოდ და უსინათლოდ
ბრმა კუტს მოჰგავს ქალაქი!..
მართალი ხარ, ჩემო ძმაო,
ან აქეთ და ან იქით!..
ზოგჯერ დენი სულ არ არის,
თუა, ხშირად ირთვება...
რა ვქნა, ღმერთო, —
გამისვრიტეს
ტვინი ამგვარ კითხვებმა!..
ცეცხლი — გულში,
ცეცხლი — გარეთ,
ცეცხლი — საზრის დახლებზე!..
დღე დაგვიდგეს უფრო მწარეც,
ვერ ვილოცებ სხვა მზეზე!..
არც — ასანთი, არც — სანთელი,
არც — მარილი, არც — ლამპა!..
ყველაფერი, ყველაფერი
იმპერიამ ჩაყლაპა!..
მან ამ დღემდე მოგვიყვანა,
ვუთვლი „გამზრდელობად"!
ცეცხლზე ნავთის დასხმა კია
მართლა საცოდაობა!..
მოდა, ნავთიც აღარა გვაქვს,
გაწყდა ნავთის სინსილა!..
ბოლმა გული მოაზრიო და
ლექსმაც ცივად იხველა!
ცარიელი ნავთის ლამპა
რელიქვიას გვაგონებს!..
ზოგჯერ თურმე ცუდ ნათქვამსაც
უნდა კარგი გამგონი!

## [illegible]

ვერავინ უქიმა
ტელეფონთა სიყრუეს!..
რაო, რა გაგიკვირდა,
ასე რატომ მიყურებ?!
ოთხი ღამე ვწვალობ და
„07"-ს ვერ გავაგონე!..
რა ვქნა, როგორ მოვიქცე,
ვის მივმართო,
რა ღონეს?!
როგორც იქნა, მიიღეს
მეხუთე დღეს შეკვეთა,
მთელი ღამე ველოდი,
სუნთქვა გადამეკეტა!..
გამთენიას შევხედე
ისევ „05"-ს სხვა ტონით!..
„— ხელახალი შეკვეთა
უნდა მისცე, ბატონო!"
გამეცინა გიჟივით,
ბოლმა ახლდა ამ სიცილს!..
მე ვარ ტელეფონისტი,
თუ ისინი,
არ ვიცი!..
ისევ ვაფრენ დეპეშას,
ფრთები თუ არ დაცვივდა!..
ვეკითხებით: სანამდე
უნდა გვიგდონ საცინრად?!



ილუსტრაციები
ჯემალ ლოლუაწი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაკარგული წერილის კვალდაკვალ

ფელეტონი

**აეროპორტში** მოსკოვის თვითმფრინავს ველოდით. საბარგო განყოფილებასთან კანტიკუნტად ირეოდა ხალხი. უცებ ძირს დაგდებული კონვერტი შევნიშნეთ. თვალს ეუცხოვა. კონვერტს რამდენიმე უცხოური ბეჭედი აჩნდა!.. ეტყობა, საზღვარგარეთიდან იყო გამოგზავნილი!..

ყველა იქ მყოფს ვკითხეთ, — წერილი ხომ არ დაკარგეთ-თქო?! წერილის დამკარგავი არ აღმოჩნდა!.. ცნობისმოყვარეობამ გვძლია და გავხსენით, მისმა შინაარსმა გაგვაოცა, იმდენად საინტერესოდ გვეჩვენა, რომ, გვინდა, თქვენც გაგაცნოთ!

აი, ისიც:

„ჩემო ძვირფასო ძმაო მიშა!

ულრმეს მადლობას გიხდი საჩუქრების გამოგზავნისათვის! მადლობა გულთბილი მოლოცვისათვის!..

ძირად ქართველი — საქართველოში გაზრდილი არა ვარ, მაგრამ მანდაური მიწის სურნელი სხვაგვარად მაფორიაქებს. თქვენებური ვარ და, ამიტომ ყოველი ქართული ჩემში აღტაცებას იწვევს! ძალზე მომეწონა ლელვის მურაბა, ყვითელი კომშები, ჩურჩხელები!.. რაღა არ იყო ამანათში?!.

მაგრამ მთავარი სათქმელი წინა მაქვს. მოგეხსენებათ, მწეველი ვარ და დიდი სიხარულით შევხვდით მე და ჩემი მეუღლე, ადელაიდა, საჩუქრად გამოგზავნილ თბილისურ სიგარეტებს — „მტკვარს“, „ლუქსს“, „მზიურს“... რამ მოგაფიქრა მათი გამოგზავნა და თანაც ამდენის, შე კაი კაცო?!

ამ სიგარეტებმა, შეიძლება ითქვას, რევოლუცია მოახდინა ჩემს ახლანდელ სამკვიდრო ინდონეზიის კუნძულ ბორნეოზე. იმხანად კუნძულის წარჩინებულნი ჩემთან იყვნენ. იციან, რომ ქართველი ვარ და სიამაყით გავხსენი სიგარეტი „მტკვარი“. ყველას გავუწოდე.

**სასწაული პირველი:**

ეს სიგარეტები ისეა დატენილი, სიმტკიცით ჩვენებური ბამბაბის ხეს არ ჩამოუვარდება. როგორც იქნა, დავბეგვეთ, ცოტა დავარბილეთ და მოვუკიდეთ. პირველი კვამლი რომ ვიგემეთ, ისეთი ხველა აგვიტყდა, დარბაზში ვეღარ გავჩერდით!.. თვით ჩემი საყვარელი მაიმუნებიც, ჯონი და პანჩატანტრა, ცხიკვებით კინაღამ დაიხოცნენ!.. შემდეგ ფეთიანებივით გავარდნენ გარეთ და ჯუნგლებს მისცეს თავი!..

ჩვენ ბევრი ვიდავეთ ამ სიგარეტების დანიშნულებაზე. ჩემმა მსახურმა რამდენიმე სიგარეტი ლაბორატორიაში გამოიკვლია და აღმოჩნდა, რომ მათში სხვადასხვა უცხო სუროგატია შერეული. დამპალი ჩვრის შემცველობა 20 პროცენტია, ნაგვისა — 28 პროცენტი, თვით თუთუნის შემცველობა სიგარეტში 16 პროცენტი იყო, ზოგიერთი ნივთიერების წარმომავლობა კი ვერ დავადგინეთო!

**სასწაული მეორე:**

თავისი მყრალი სუნის გამო მსახურს მოეწონა და თქვა: ამ სიგარეტს, ეტყობა, სხვა დანიშნულება აქვსო. მეორე დღეს სიგარეტების თუთუნი რაღაც სანელებლებში შეაზავა და გაუჩინარდა. ორი დღის შემდეგ კი, რომ იტყვიან, მოწმენდილ ცაზე დაიქუხა!..

— ევრიკა! — დაიყვირა მსახურმა იმ ხმით, როგორითაც ალბათ დიდი აღმოჩენისას არქიმედე დაიყვირებდა. შემდეგ საიდუმლო გაგვანდო: თურმე ეს წამალი ბაღლინჯოების წინააღმდეგ გამოუყენებია და მწერები უმალ გაწყვეტილან!..

ეს აღმოჩენა მთელ კუნძულზე უმალ გახდა ცნობილი. თქვენებური სიგარეტების ღირსება საოცრად ამაღლდა ბორნეოელების თვალში!..

ჩემო მიშა! თუ ძმა ხარ, ეგებ როგორმე მოახერხო და ეგ სიგარეტები კიდევ გამომიგზავნო! ალბათ, თბილისში ძნელი საშოვარი იქნება „მტკვარი“, „ლუქსი“ და „ასტრა“!.. ფასს არ დავეძებ, ოღონდ როგორმე ერთი ხუთასიოდე კოლოფი მომიხერხე! დარწმუნებული ვარ, რაც კუნძულ ბორნეოზე მავნე მწერებია, გავწყვეტთ და ორივეს ეროვნულ გმირებად გამოგვაცხადებენ! ახლა ჯილდოს აღარ იკითხავ? — დოლარები ხეტყვასავით წამოვა!..

სხვა რაღა მოგწერო?! შენი გულისხმიერების იმედი მაქვს!

შენი ძმა და მეგობარი **გერონტი ჯანდიერი**“.

**P. S.** ვერ დავეთანხმებით ჩვენს უცხოელ თანამემამულეს, ბატონ გერონტი ჯანდიერს: ჩვენთან თბილისურ სიგარეტებს მხოლოდ მოსაწევად იყენებენ. მით უმეტეს, რომ ახლა საქართველოში ბაღლინჯოს ძნელად მოიხელთებს კაცი — ომის შემდეგ გაწყდა მათი სინსილა!.. გარდა ამისა, ახლა ამ სიგარეტების შოვნაც ჭირს. მაგრამ რაკი გულით სურს, ბატონ გერონტის რაღაცას გავუხერხებთ! რაც შეეხება მათს ხარისხს, ეს დიდი ხანია ჩვენებურებსაც აწუხებს. ამაზე პრესაშიც იწერება, ხმამაღლა გამოთქვამენ საყვედურებს, მაგრამ შედეგი არ ჩანს!.. ისე კი, ძვირფასო მეგობრებო, თუ ამის შემდეგ მაინც აღარ გაეკარებით ამ სიგარეტებს, თქვენი ჯანმრთელობისთვის უკეთესი იქნება!

**წერილი იპოვეს და რედაქციას მოაწოდეს
შალვა ადომლიშვილმა და
ვლადიმერ კოკაიამ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძველი ანდაზები თანამედროვე ინტერპრეტაციით

**სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!** — ბელადის ძეგლის დემონტაჟი.

**არცოდნა არცოდვაა!** — მარქსიზმ-ლენინიზმი.

**ვიგემე და ვიგვემე!** — სოციალიზმი.

**წასვლა სჯობს წამავალისა, არდაყოვნება ხანისა!** — ბოლშევიკების ეპიტაფია.

**აყუდებულა ტანშია, ფეტვი უთესავს ცაშია!** — საბჭოთა კავშირი.

**თევზი — ზამთარში, ცხენი — აღმართში, ცოლი — საბანში!** — კომუნიზმი — ზღაპარში.

**რაც არ უნდა მინდისაო, ყურში არაღ მისდისაო!** — იმპერიის პრეზიდენტი.

**არა გიშავს რაო, თუ არ გიჩანს რაო!** — საბჭოთა ადამიანი.

**თვალი ხვამს და თვალი ჭამს!** — ჩვენებური უცხოეთში.

**არც აგიშვებ, არც გაგიშვებ!** — ფედერაციიდან ნებაყოფლობით გასვლა.

**მანუჩარი არ უჩქარის!** — გარდაქმნა.

**დააწყო და ვერ ააწყო!** — სამოკავშირეო ხელშეკრულება.

**გაყიდა მამული, იყიდა ნიახური!** — საბჭოთა საგარეო ვაჭრობა.

**ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი!** — ტანკზე ჩამომჯდარი ოსი „ბოევიკი“.

**გარეული მოვიდა, შინაური გააგდო!** — სამაჩაბლო.

**შეარჩინეს მელასაო, მოუმატა კბენასაო!** — ოსი ექსტრემისტი.

**ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი!** — კომერციულ მაღაზიაში ნაყიდი ძეხვი.

დემეტრე ოთარიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყაყა ჭიჭყინაძე

## სხარტულები

ტრამვაი-ტროლეიბუსებსა და ავტობუსებში იმდენი ტიტველი ქალის სურათია გაკრული, რომ მის ყურებაში მგზავრებს მგზავრობის ქირის გადახდა ავიწყდებათ!

* * *

რა ბედნიერი ვარ დღეს! — საკომისიო მაღაზიაში ურიგოდ გავისინჯე მამაკაცის ფეხსაცმელი — ერთი 1500-მანეთიანი და მეორე — 1800-მანეთიანი.

თვალი დაევსოს სიღარიბეს, თორემ, რომ მეყიდა, ჩემი სიხარული და ბედნიერება მაშინ უნდა გენახათ!

* * *

მაღაზიის გამყიდველი მყიდველებს უარით ისტუმრებდა!.. ეს იმდენჯერ გაიმეორდა, რომ ხმა ჩაუწყდა და თავის გაქნევით უარის თქმაზე გადავიდა. მალე კისერიც ეტკინა და ხელებისა და ფეხების ქნევა დაიწყო!..

* * *

ერთი თოფი შპალერი საკომისიო მაღაზიაში 160 მანეთი ღირს. მაინტერესებს, რომ ვიყიდო და გავაკრა, უბედურება რომ შემემთხვეს, დაზღვევის თანხაში შევა?

* * *

ვირთხებმა იჩივლეს: ჩვენი ადგილ-სამყოფელი სარდაფები საკომისიო მაღაზიებმა წაგვართვეს და თვითონ დაიწყეს ჩვენს სადგომებში გამდიდრება!

* * *

სამსახურში დაგვიანებით გამოცხადებისათვის მმართველმა თავის მოადგილეს საყვედური გამოუცხადა. მოადგილემ კი მძღოლს უსაყვედურა, — შენი გულისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვიმგზავრე და ამიტომ დავაგვიანე!

* * *

ერთ დაწესებულებაში, ნაცვლად ხელის შეწყობისა, მუშა-მოსამსახურეთა სახადილო გააუქმეს!.. ხელმძღვანელს რომ ჰკითხეს მიზეზი, განაცხადა, — საჭმლის სუნი მაწუხებსო!

## მინიატიურები

ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ნიქსონმა ჩვენი საკოლმეურნეო ბაზრები დაათვალიერა, ძალიან მოეწონა მათი მრავალფეროვნება და განლაგება, მაგრამ ფასების გაგება დავიწყებია და მეორედ აპირებს ჩამოსვლას, რომ ფასებიც გაიგოს და მყიდველთა ვინაობაც!..

* * *

მეზობელმა მეზობელს ჰკითხა, — შენი შვილი რას აკეთებსო?

მეზობელმა უპასუხა, — უნივერსიტეტში სწავლობსო.

მეზობელმა შეუსწორა, — კი არ სწავლობს, არამედ იმყოფებაო!

* * *

მეტროში ბავშვმა მოხუცებულ ქალს ადგილი დაუთმო. მოხუცებულმა ბავშვს მადლობა გადაუხადა ამ იშვიათი შემთხვევისათვის და ჰკითხა, — შვილო, ვინ გასწავლა ახეთი ზრდილობიანი ქცევა, სკოლამ თუ ოჯახმაო?

* * *

ბესარიონს ახალი დირექტორი დაუნიშნეს. მეგობარმა ჰკითხა, — როგორ მუშაობს შენი ახალი დირექტორიო?

— ჯერ კაბინეტში დგამ-ავეჯი შეიტანა, თეთრი „ვოლგა" შავით შეცვალა, ხელში ცოცხი უჭირავს და, როცა კალამს დაიჭერს, მაშინ გამოჩნდება, როგორ მუშაობსო! — მიუგო ბესარიონმა.

* * *

გამოცდაზე ლექტორი სტუდენტს ეკითხება: — თქვენ ჩვენს ინსტიტუტში სწავლობთ?

— როგორ, ბატონო, დაგავიწყდათ, 4 წლის წინათ მისაღები გამოცდები რომ ჩაგაბარეთ? — უპასუხებს სტუდენტი.

* * *

ჩვენი ბინის მშენებლები სამსახურიდან მოხსნეს ბინის უხარისხოდ აშენებისათვის, მაგრამ აღმოუჩნდნენ ნაცნობები და ტრესტში გადაიყვანეს უფრო დიდ თანამდებობაზე, — აქ გამოსწორდებიანო!











— ამხელა ფასი რომ დაადეთ, მფრინავი ხალიჩაა თუ თქვენ გააფრინეთ?!

ნახ. ვ. კუციასი

# ყოფა გვეყოფა?!

სამოცდაათი წელია, გვზრდიან საბჭოთა მონებად,
გადაგვაგვარეს, დაგვიხშეს სული, აზრი და გონება!..
სამოცდაათი წელია, სუყველა ჩვენი „ბრატია",
გვასულელებდა „დიადი" კომუნისტური პარტია!.
პარტიის სიტყვა და საქმე ერთმანეთისგან შორია,
კომუნიზმს გვპირდებოდა და დღეს დუსტიც ვერ
გვიშოვია.!
სამოცდაათი წელია, ჩვენს ერს მთავრობა არ ჰყავდა,
მიტომაც ჩვენი ცხოვრება ასე „გალაღდა", „აყვავდა"!
სამოცდაათი წელია, მამულში ჩაგვისვენეს მზე,
„ურას" ძახილში, ტაშის კვრით, ტყავი გადაგვძვრა
ხელებზე!
სამოცდაათი წელია, ქართველებს გვძინავს ღრმა ძილით,
საბავშვო ბაღში ლენინზე ლექსით იზრდება ყმაწვილი!..
სამოცდაათი წელია, ვითომ კომუნიზმს ვამყარებთ,
გადავიმტერეთ მსოფლიო, დაგვცინის მთელი სამყარო!..
სამოცდაათი წელია, ზნეობა თითქმის დავკარგეთ,
ძალიან ცოტა ფიქრობდა ჩვენი სამშობლოს ავ-კარგზე!.
ცდუნებას ცოტამ გაუძლო, — სულით ძლიერმა,
დიადმა,—
თითო-ოროლა მერაბმა, თითო-ოროლა ზვიადმა!.

● ● ●

სამოცდაათი წელია, შეობა ვკარგეთ, ჩავფლავდით,
იმ ჩვენს წინაპრებს დარდისგან ალბათ, არ სძინავთ
საფლავშიც!.
სამოცდაათი წელია, დაცინვას ვუძლებთ საშინელს,
ჩვენი დოვლათი სხვას მიაქვს, თან მუშტებს გვიქნევს,
გვაშინებს!.
სამოცდაათი წელია, ჩვენს ცას დამპყრობი ალრუბლებს,
მუდამ ვაწყობდით სატანურ საშვიდნოემბრო ალლუმებს!
სამოცდაათი წელია, ქართველი ქედმოხრილია,
გადავივიწყეთ დავითი, თამარი, ცოტნე, ილია!..
სამოცდაათი წელია, დამპყრობი გვაცლის არაქათს,
სულ მთლად დავკარგეთ ზნეობა — ქართველი
ქართველს არა ჰგავს!.
არც წყევლა, ცილისწამება, არც ხოცვა-ჟლეტა
გვაკმარეს!—
მტერი ცალკე გვჭამს, ჩვენ ცალკე ერთმანეთს ვუთხრით
სამარეს!.
სამოცდაათი წელია, არც მშობლებს ვუსმენთ,
არც ძიძებს,
კაპიტალისტებს ვაგინებთ და სსრკ-ს ვადიდებთ!
დავკარგეთ თავისუფლება, ვაქებთ ამ „დიად ეპოქას",
კრემლი გვძარცვავს და ტყავს გვაძრობს და, ნუთუ,
ალარ გვეყოფა?!.

ვანო ცინცაძე

1989 წ.







ხომ გახსოვს, შაქრო, ის დღე გეგმას რომ ვსახავდით?!
სიტყვით რა კარგად ხატავდი მოსავლის სურათს,
პირობას იძლეოდი: შევასრულებ ჩემს ვალს.
თუ მეც კაცი ვარ და კაცური ქუდი მხურავს!
ახლა რას ვხედავთ?! ეს როგორ გამოდის, ჰა?!
სად შენი სიტყვა, კაცო, და სად შენი საქმე?!
როგორ ჩაფუშე ვენახის გეგმა, ეს რა ჰქენ?!
შეგფერის სახელოვან კაცს და ეგრე ნაქებს?!
— რა ვთქვა, აბა?! ეს მარტო ჩემი ბრალია?!
დეპეშები რო გაგზავნეთ, — მოდით, ნახეთო,
რა ქნა ჩვენმა შაქრომ, ეგრეა საქმე, რომა
მარტო შაქროც კი ააშენებს მთელ კახეთსო!
ინტერვიუა, თუ რა ვიცი, რას ეძახით,
მოთვალე, რამდენჯერ გაიმართა ამ თვეში?!
მოვცდი, აი, რა მიყო თავის გამოჩენამ,
აი, რამ ჩამაგდო მე საწყალი ამ დღეში,
აი, რამ გამაიწვია ჩემი ჩამორჩენა!
რა ვქნა, კაცო, მობრძანდა კაცი ქალაქიდან,
შოთი არ გავტეხო, არ დავდგა ხელადა ღვინო?!
მიწისა და ვაზის სადღეგრძელო არა ვთქვა?!
რა უპურმარილოთ, ჩემზე ვათქმევინო?!
... გავარდა სახელი და მოზღვავდა მნახველი,
შეხვედრები... კითხვა-პასუხი და თათბირი...
ვაჰ, ჩემო თავო, როგორ შავირცხვინე მთლად პირი!
ვაჰ, ჩემო თავო, როგორ ჩამოგტირის თავ-პირი!
მორჩა, დღეიდან სხვაგვარად ვიწყებ მუშაობას,
ყველა დაინახავს, ვარ თუ არა მე გამრჯე.
წელიწადის თორმეტ თვეს (სამას სამოცდახამ დღეს)
ვიჩოქებ ყოველ ვაზთან (სამას სამოცდახამჯერ).
ინტერვიუსთვის არავინლა შემაწუხებს,
ვის უნდა საუბარი პირშარცხვენილ კაცთან?!
მე საქმე მექნება მხოლოდ და მხოლოდ ვაზთან.
თუ ეს მოხშირებული თათბირებიც ამცდა!

ლალი მარტაშვილი

# ჩვენ კოოპერატორები ვართ!

(ანუ ჩვეული რეისი)

ამ ...ქიმეს ადრე მივდევდი, როგორც მოყვარული. საოჯახო ინკუბატორი დამონტაჟებული მქონდა. სათავსოების სივიწროვეს არ განვიცდიდი, მაგრამ წარმოებისათვის მეტი იყო საჭირო. ჩემს ძმაკაცსა და კარის მეზობელს ეზოში ძველი გარაჟი ჯერ არ დაენგრია. ახალში ახლად შეკეთებული „კოლხოზნიკი" ედგა. მოვესაუბრე: — ჩემო მიხო, ეს სათავსოები, ინკუბატორი, ავტომანქანა გვაქვს, მოდი, მივდგეთ-მოვდგეთ და კოოპერატივი გავხსნათ, ხელსაყრელი საქმეა! ვარიებს, ხომ იცი, კარგი ფასი აქვს!.. ხელშეკრულების მიხედვით, ნაწილს კოლმეურნეობას მივყიდით, ნაწილს ბაზარში გავიყვანთ! მერე, შენი ენაწყლიანობის ამბავი რომ ვიცი, მუშტარი ბუზივით დაგესევა!..

მიხოს ჭკუაში დაუჯდა ჩემი წინადადება. მართლაც, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, ყველა მსხვილმანი და წვრილმანი მოვაგვარეთ და ავამოქმედეთ კოოპერატივი „ყვინჩილა".

სამი თვის მერე პირველი რეისი მოვაწყვეთ ბაზრისაკენ. ისე ჩავდგით ბადურებიანი ყუთები „კოლხოზნიკში", მძღოლის მეტი ვერავინ დაჯდებოდა. ოთხასი ფრთა ვარია მოვათავსეთ ყუთებში. მე ტაქსით მომიწია გაყოლა. ტაქსის მძღოლი დაუღალავი მოლაპარაკე გამოდგა:

— გატყობთ კოოპერატორები ხართ!

— დიახ!

— რომ ვუფიქრდები, სარფიანი საქმე უნდა იყოს!..

— შრომაც კარგი უნდა!

— მთავარია, ბევრი ფული იყოს!..

— ყოველ შემთხვევაში, ტაქსისტებს ფული არ გაკლიათ!

— იმდენი ვერაფერი, ბევრი ხარჯი გვაქვს!..

— როგორც ვიცით, ჯიბისთვისაც ბლომად გრჩებათ!

— ზოგს ეგრე ჰგონია! იცით, რატომ? ჩვენს შორის თითებზე ჩამოსათვლელი როდია გამომძალველი ტაქსისტი: უხეშად, კლიენტისადმი შეურაცხმყოფელი დამოკიდებულებით სძალავენ ფულს. მაგას ვერ ვიზამ!.. თუ მაჩუქებენ, ავიღებ, არა და, ზედმეტს არ მოვთხოვ, თავმოყვარეობას ვერ შევილახავ!.. ახლა იჯარით ავიღე ეს ავტომანქანა. მუშაობის ეს ფორმა უკეთესია. ოღონდ ეგ არის, რაიმე ნაწილი თუ დაგჭირდა, ტყავს გვაძრობენ!.. ამას წინათ რაღაც გამიტყდა. რა მექნა? მივედი გარაჟის საწყობში, მოვიკითხე, — არა გვაქვსო! — მითხრა საწყობის გამგემ, — ოთხი თვეა არაფერი მიმიღიაო! გაველი „ბირჟაზე". ერთმა დამაიმედა, გიშოვი, ოღონდ ასი მანეთი უნდაო! რას ვიზამდი, მანქანის მოცდენა უფრო ძვირი დამიჯდებოდა!.. გავყევი. საწყობიდან მართლა გამომიტანა ნაწილი!.. ალბათ ხვდებით, ჩვენი საწყობიდან გამომიტანა!..

... მე და მიხომ, როგორც იქნა, ბაზარში შევაღწიეთ. კოოპერატივის პირველი პროდუქცია სწრაფი ტემპით იყიდებოდა. იქვე გვერდით, ჩვენებური ვანუა იდგა, ტომარაში რამდენიმე ვარია ჰყავდა. ორიოდე ხელში ეჭირა და მუშტარს თავისკენ უხმობდა. როცა გაყიდა, ჩვენთან მოვიდა: — ჰეი, ჩვენებურებო, ოციოდე ვარია მეც მომყიდეთო!..

მიხომ ალალად გაუცინა და თავისებურად შეეხუმრა:

— კარგი ხელობა აგირჩევია, ვანო! ალბათ, ბლომად ფულს აკეთებ!.. იყიდე, გაყიდე, ისევ იყიდე, გაყიდე!.. არც ჯაფა უნდა. აბა, სოფელში რას გაჩერდებოდი, ეს — თიბვაო, ეს — ხსაო, ეს — ესაო!.. აქ არც ტალახი შეგაწუხებს, არც რაიმე ტვირთი!

ვანუა თავისას არ იშლიდა:

— სამ მანეთად დამითმე, მიხო, აჰა, დაიჭი!

— თუ კაცი ხარ, მითხარი, მერე შენ რამდენად გაყიდი?

— ხუთად! — გაიღრიჭა ვანუა.

— რამდენი გინდა?

— ათი!..

— აჰა, ოცი მანეთი და წადი!.. — მიხოს ხმაში მკვახე ტონი გაერია.

ვანუა შეცბა, ჯერ განზე გადგა, შეტრიალდა და იღლიაში დახვეულ ტომარაგაჩრილი წაძუნძულდა!..

ვაჭრობას მოვრჩით. ყუთები ავტომანქანაში შევყარეთ. „კოლხოზნიკში" გვერდითი სკამი დავამაგრეთ.

— ჩამოცხა განა!.. მოდი, ახლა სოსისი ვჭამოთ, ზედ ლუდიც დავაყოლოთ! — მითხრა მიტომ.

ფარდულში სიხალვათე იყო. სოსისი მდოგვით, ზედ ცივი ლუდი, გვეჭიამოვნა ორივეს. მიხომ მებუფეტეს ხუთმანეთიანი გადასცა, ხურდას და... ტემ. — თხუთმეტი ... მერგებაო! გაკვირვებით შევხედეთ!..

— რაში, ძმაო?! ექვსასი გრამი სოსისი და ორი კათხა ლუდი!..

— თქვენ რა, რომ შემოდიოდით, თვალები არ გქონდათ?! ეს კოოპერატივი „კოკლოზი" გახლავთ! — მედიდურად გადმოისროლა მებუფეტემ.

— ერთი შენი თავი თიბვაში ჩამიყენა ვინმემ, მეტი არ მინდა არაფერი! — თქვა გულმოსულმა მიხომ.

— ჰე, ჰე! — ირონიულად ჩაიცინა მებუფეტემ, — თიბვა და სოფლის ტალახი რომ მდომებოდა, წამოსვლას არავინ მაძალებდა!..

გადავუხადეთ და წამოვედით.

— ჩანს, ჩვენი საშველი არ არის! — თქვა მიხომ და პედალს ფეხი დააჭირა.

ალექსანდრე დიდებაშვილი




— რა მადა აქვს ამ ტელეფონს! პირდაპირ შურით გასკდები კაცი!..

ნახ. შ. ლელაძისა




— ბაბუა იპოლიტე უნდა მათხოვო, მაგათ მაღაზია-
ში თურქული საქონელი მიუღიათ!..

## მოდის დახმარებით

**ცხოვრებაში** რომ ყველაფერი შეფარდებითია, ამას მძინარე ადამიანიც კი გიპასუხებს, მაგრამ ამ ცოდნას პრაქტიკულად რომ მუდამ ვერ ვიყენებთ, აი, ეს არის საკვირველი, უფრო სწორად, ცამეტჯერ საკვირველი! რომ შეგვეკითხოს ვინმე: „ადამიანები ადრე უფრო ჭკვიანები იყვნენ, თუ ახლა?" — უხერხულ მდგომარეობაშიც კი ჩავვარდებით! თუ რაიმე ვიცით და ადამიანები გვქვია, სულ წინაპართა წყალობაა და მათ სულელებს როგორ ვუწოდებთ?! აი, თუნდაც ჩვენი პირველყოფილი წინაპრები რომ მთლად შიშველნი დაიარებოდნენ სახლშიც, კარ-შიც და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც, ეს მათი მაღალი გემოვნების შედეგი იყო თუ ქვეყნად ყოველი ცოცხალის არსის, ბუნების, ლოგიკური გამოვლინება?! ამ საკითხის გაგებაში ქალებმა მნიშვნელოვნად გაუსწრეს მამაკაცებს და ცხოვრებისეულადაც კი დაამტკიცეს თავიანთი პროგრესული შეხედულებების პრაქტიკულობა! ვის არ ახსოვს ის თვალნათელი პერიოდი, როცა დაიწყო ქალების კაბების ინტენსიურად დამოკლების ხანა! მთელი კაცობრიობის მეორე ნახევარი თვალმოუშორებლივ, მოუთმენლად ელოდა ამ პროცესის შემდგომ აღმასვლას, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც წესი, ყოველი ახალი იდეა მუდამ დიდ წინააღმდეგობებს აწყდება! ახლაც აღმოჩნდა კონსერვატიულად მოაზროვნე ქალთა ნაწილი, რომელმაც მხარი არ დაუჭირა კაცთა გულის გასახარ ამ წამოწყებას და იდეამ ზრდის პროცესშივე შეწყვიტა არსებობა! ეს იყო დიდი დარტყმა ვილაცათა მიმართ, მაგრამ ოპტიმიზმის დაუშრეტელი ენერგია არ დამცხრალა და, იმედია, დადგება დრო, როცა ჩვენი ძვირფასი ქალები მოდის დახმარებით საერთოდ უარყოფენ ყოველგვარ ჩასაცმელს და მოდას უსასრულოდ ჩამორჩენილი მამაკაცებიც დაიწყებენ ტანსაცმლის შემოხევას!..

ბივი ზედელაშვილი

## არასახიმღერო შაირები

სიმართლის თქმა თუ
მაცლი,
ვლირვარ დასაფიცავად,
გამარჩიე ს ტ უ მ ა რ ში
და მიცანი, ვინცა ვარ!

— : —

შენ აქებდი ბ ე ლ ა დ ე ბ ს,
როცა ცლიდი ბ ე ლ ა დ ე ბ ს,
ახლა ხმარობ სხვა
ნ ო ტ ე ბ ს,
მათზე თხზავ
ა ნ ე კ დ ო ტ ე ბ ს!

— : —

გინდ იყავი მთლად ახდალი,
გინდ — უმაღლეს
განათლებით, —
ერთმანეთთან ვთანაბრდებით
ს ა ს უ რ ს ა თ ო
ბ ა რ ა თ ე ბ ი თ!

— : —

ვაჭრობაში თვითნებობამ
იმ დონემდე მიაღწია,
მალე მთლად დაგვავიწყდება
სიტყვა
„ს პ ე კ უ ლ ი ა ც ი ა"!

— : —

ბინა მომცეს, ხვეწნას
მოვრჩი,
საოცარი მოხდა ფაქტი:
შიგ შევედი და აღმოჩნდა
ის ნ ა ხ ე ვ ა რ-
ფ ა ბ რ ი კ ა ტ ი!..

— : —

დრო იცვალა: ვინღა
ხმარობს
ან წამლებს და ანდა
ნემსებს?!
ბედნიერებს ბედი
წყალობთ! —
გაუმარჯოს
ე ქ ს ტ რ ა ს ე ნ ს ე ბ ს!

ლევან სულავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასარგებლო რჩევები

● **იყავი** შრომისმოყვარე, საკუთარი შრომით პური ჭამე გემრიელი, რომ ცხოვრება მუდამ გქონდეს ბედნიერი!

● **იყავი** კარგი ვაჭარი, რომ ნავაჭრი გქონდეს პატიოსნად ნაჭარბი!

● **იყავი** კარგი მმართველი, რომ წარმოება გყავდეს მუდამ ნაჭქები!

● **იყავი** კარგი დირექტორი, რომ თანამშრომლებისათვის არ დაგჭირდეს სასადილო დიეტური!

● **იყავი** საქმის კარგი მცოდნე, რომ შენი ცოდნით ნასაქმარს ბარაქა ჰქონდეს!

● **იყავი** კარგი ბუღალტერი და შენს საქმეს ცუდად ნუ გადაჰყვები!

● **იყავი** შენი შვილის საქები დედა, რომ შენი საქმით მტერს შეეყაროს სასიკვდილო ბნედა!

● **იყავი** წარმოების კარგი ხელმძღვანელი, რომ წარმოებაში გყავდეს ბლომად ნოვატორ-ხელმარჯვენი!

● **იყავი** კარგი პროვიზორი, რომ წამლის შოვნას არ დასჭირდეს დიდი პოლიგონი!

● **საჭიროა**, ბევრი ისწავლო, რომ ცხოვრებაში არ იწვალო!

● **იყავი** პირში მთქმელი, რომ არ გახდე მლიქვნელი!

● **გიყვარდეს** მშობლები, რომ მაგალითზე გეზრდებოდეს მორბედი!

ა. ჭ.




ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თანამედროვე ჩასტუშკები

ჩვენს დროში იქცა
ტალონების დასტა ქონებად,
მაგრამ რად გინდა?! —
ვერ ხერხდება დასაქონლება!
რა უნდა ვუყო
ნაირნაირ ფერად კუპონებს,
თუ სასურსათო
რესურსები ვერსად უპოვეს?!
...ტალონებს — ჩვენი
ახლანდელი ცხოვრების სარკეს —
დ ა ვ ა ა ლ ბ ო მ ე ბ თ,
ვით ოდესღაც საფოსტო მარკებს!..

* * *

ვილას ახსოვს არჩევანი,
ვილას ახსოვს არადანი:
შენს ნებაზე არც რძე არი,
არც — ხაჭო და არაჟანი!..

* * *

რიგში ვდგავარ უპოვარი,
რიგს მთელი დღე ვერ ვცილდები,
არც არავის ვუთმობ ადგილს,
არც არავის ვეცილები!

რიგში კარგად მეფიქრება, —
ჩვენ აქა ვართ ასახული,
იგი გახდა ჩემი კრება,
კერია და სამსახური!..

ჩვენდა ჭირად გაჩენილი
რიგი, ჩვენი შემლახველი,
მაინც ჩვენი მარჩენალი,
მაინც ჩვენი შემნახველი!..

**სიმღერის გახსენება**

ჩემი თბილისი ძველ დროს იხსენებს,
დათრგუნვილია იგი!..
ვით ომის წლებში, ახლაც ისევე
რიგს გამობმია რიგი!..

ძნელი ყოფილა თურმე გარდაქმნა,
კუჭო, გაუძელ შიმშილს!
რაღა ვილონოთ, კიდევ რაღა ვქნათ,
როდემდე ვიყოთ შიში?!

გასტრონომში მტრედია,
ჩიჩახვცარიელია!..
არ შემოწყრე, გენაცვა,
ჩვენი გამყიდველია!..

**გაგრძელება იქნება**

* * *

ამ შიმშილობისას
ქართველებს რა გვიშავს,
იმისდა მიხედვით,
გარშემო რაც ხდება!
ერთმანეთს რაკი ვკბენთ,
ერთმანეთს რაკი ვჭამთ —
საკბილო კარგა ხანს
არ შემოგვაკლდება
(სანამ ერთმანეთი
არ შემოგვაკვდება!).



ნახ. ბ. ზუბაშვილისა




470
19.IX 91

— ეს რძალ-დედამთილი ისევ ჩხუბობენ?!
— საქმეში „ომონი" ჩაერია და აწი მაგათ რაღა შეარიგებთ?!

ნახ. ზ. ბიგოლაშვილისა



## შვილთსიმრავლე გაფურჩქვნაა, უშვილობა — გახმობა!

ეს ამბავი, შორს კი არა:
აგერ ხდება, ჩვენს თბილისში,
თანაც ცენტრში, რუსთაველზე,
ერთი დიდი ჰადრის ძირში:
ბორდიურთან დგანან ორნი
და დროს კლავენ მუსაიფში,
ტკბილად ბჭობენ ქვეყნის ბედზეც
ხშირფოთლება ხეთა ჩრდილში —
ერთი — სუსტი, მიბნედილი,
მოცხუნკული, ეულქმნილი,
სახეს უკვე შეჰპარვია
სიბერის და ჰკნობის მძივი!..
მეორეს კი ახვევია
ძე-ასული, ხუთი შვილი,
ეშხი, სითბო და სინაზე
ისე სცვივა, ვით მზეს სხივი!
კდემით ვუმზერ ამ სურათს და
ერთხელ კიდევ მიპყრობს ფიქრი:
უშვილობა ქალს ისე წოვს,
ვით მცენარეს — ხავსი-ფითრი!..
შვილები კი გაფურჩქვნაა,
სილაღე და ნეტარება,
ბედნიერი დედის ნებას
დარდი აღარ ეკარება!
სხვაც ბევრია რუსთაველზე,
თვალთა მზერის მტაცები:
შარვლიანი ქალები და
კაბიანი კაცები!..
ზოგ-ზოგს წვერიც მოუშვია,
თითქოს იყვნენ ვაცები,
ვერ მალავენ ეშხს და გრძნობას
თვალნი, ტურფად მტაცები!
პირადად მე ქებას ვუთვლი
დედას, მრავალშვილიანს,
ხეს ცხოვრების ის უხარებს
ერს და მამულს გულიანს!
ვპვრეტ ჰმას და თვისით
მსტუმრობს
ფიქრის აზრთან თანხმობა:
შვილთსიმრავლე სიცოცხლეა,
უშვილობა — გახმობა!

**შალვა გულუა**

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" №13-14 (1840), ივლისი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჯაბუა ამირეჯიბი, ნოდარ ბართაია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე ხამხონია, ხეჯან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 20. 06. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 08. 91 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,9. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. № 1131. № 1251. ტირაჟი 70000.
ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

**Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло», ул. М. Костава № 14.**

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 78187

7-91

91-470

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ-გაზეთი
„ო.ქ.რ.ო.პ.ი.რ.ი"
სთავაზობს
თავის
ახალ
წიგნს




შეიძინეთ,
წაიკითხეთ,
100-ჯერ
მაინც ჩაიცინებთ!

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ